

# ახალი განათლება

29 ოქტომბერი – 4 ნოემბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი
№32 (706) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge




გვერდი 4

საქართველოს დღემდე არ აქვს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილებების საფუძველზე, მომზადდა ადრეული აღზრდისა და განათლების შესახებ კანონპროექტი, რომლის საჯარო პრეზენტაცია 22 ოქტომბერს გაიმართა.

იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, კანონში უკეთ ასახოს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული განვითარება. აუცილებელია, აღმზრდელები გადიოდნენ სასწავლო კურსებს შემდეგ თემებზე:

❖ ბავშვზე ორიენტირებული სწავლება;
❖ არაძალადობრივი დისციპლინა;
❖ ბავშვთა უფლებები;
❖ ბავშვთა უსაფრთხოების საკითხები.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონში უნდა აისახოს ასევე ჯგუფის მოცულობისა და მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობის სტანდარტები:

❖ ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 1 ჯგუფში – 15-22;
❖ აღმზრდელ-პედაგოგების მინიმალური რაოდენობა – ერთი მასწავლებელი 8-15 ბავშვზე.

---

ინკლუზიური განათლება

## სოციალური და აკადემიური უნარების გასავითარებლად

გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსი ეკა დგებუაძე

გვერდი 2

საშემოდგომო მობილობა

## მზარდი მობილობა ლიდერი უნივერსიტეტები და ფაკულტეტები

გვესაუბრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს უფროსი ნინო წერეთელი

გვერდი 3

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

## კოსმოპოლიტური გარემო და პრაქტიკული ასპექტებით გაჯერებული პროგრამები

რუბრიკის სტუმარია მარიკა ქურდაძე, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 6

წიგნის თარო

# აქცია




ნატა ახმეტელი
ბესიკ ლორთქიფანიძე
ნიკო მურღულია

**ისტორია**
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის

**ისტორია**
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის

~~6 ლარი~~ 5 ლარი




~~9 ლარი~~ 8 ლარი




ქეთევან ტატიშვილი
ზურაბ ბერაია

**ფიზიკა**
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის

~~8 ლარი~~ 7 ლარი

### გთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 ხელმომწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.































CMYK

ინკლუზიური განათლება

# სოციალური და აკადემიური უნარების გასავითარებლად



გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსი ეკა დგებუაძე

**– კანონმდებლობით ყველა სკოლა ინკლუზიური უნდა იყოს, თუმცა, ჯერჯერობით, რეალობა სხვაგვარია. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, რა ვითარებაა ამ მხრივ და რა ტიპის დარღვევის მქონე ახალგაზრდებს შეუძლიათ განათლების მიღება საჯარო სკოლებში?**

– ზოგადი განათლების შესახებ კანონი არეგულირებს ინკლუზიურ განათლებას, ასევე განმარტავს ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად, ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო გახდა ინკლუზიური განათლების განხორციელება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მიღებისთვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: მას შემდეგ რაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალური შევსებული ფორმით, მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ითხოვს მისი შვილის საგანმანათლებლო შესაძლებლობის დადგენას, მოსწავლე ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მაძიებელი. ამის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლის საგანმანათლებლო შესაძლებლობას და ადგენს მის საგანმანათლებლო საჭიროებას.

მულტიდისციპლინური ჯგუფი შედგება ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, ნეიროფსიქოლოგისა და სპეციალური მასწავლებლებისგან. სპეციალური ტესტების საფუძველზე გუნდი აფასებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და ადგენს მოსწავლის საჭიროებას. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ეგზავნება როგორც საჯარო სკოლას, ისე მშობელს. დასკვნასთან ერთვის რეკომენდაცია, რომელიც ეხმარება სკოლას ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტეგრაციას და სასწავლო გარემოს ადაპტაციას. მართალია, ჯანდაცვის სამინისტრო ადგენს ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს და აძლევს შესაბამის პენსიას, მაგრამ როდესაც ის შემოდის საგანმანათლებლო სისტემაში, ჩვენთვის უკვე არ აქვს მნიშვნელობა რა ნიშნით მიენიჭა მას სტატუსი. შესაძლოა მოსწავლეს ჰქონდეს დიაბეტი და ჰქონდეს შშმ პირის სტატუსი, მაგრამ არ იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე; შეიძლება, სოციალური ფაქტორების გამო ჩამორჩებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და სულაც არ იყოს შეზღუდული შესაძლებლობის, მაგრამ იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ანუ ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლებას. ეს არის ყველა იმ ბავშვის განათლება, რომელიც ვერ აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და სჭირდება პროგრამის ადაპტაცია, ანუ პროგრამის გამარტივება და მის შესაძლებლობებზე მორგება. დღეისათვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 5000-მდე სსსმ მოსწავლე ჩართულია ინკლუზიურ განათლებაში.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან სკოლის მიღმა დარჩენილი სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვები. ამ მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია ახალი პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“, რომელიც ამჯერად ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს და მათი განათლების კომპონენტის გაძლიერებას ითვალისწინებს. პროექტი ამოქმედდა ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დღის ცენტრებში (კრიზისულ და ტრანზიტულ ცენტრებში), სადაც თავს იყრიან ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. პროგრამაში ჩართულია ცენტრში არსებული ყველა ბავშვი. პროგრამის ფარგლებში, ვმუშაობთ მათი სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებაზე. პარალელურად (ამავე პროგრამის ფარგლებში), იმ სკოლების გაძლიერებაზე ვზრუნავთ, სადაც ეს ბავშვები ირიცხებიან. ვგულისხმობ სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათთან მუშაობის მეთოდოლოგიის გაცნობას პედაგოგებისათვის, რათა გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელი იყოს ამ ბავშვების სასკოლო სივრცეში გადაყვანა. ვიცით, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, მაგრამ დღეისათვის ამ პროგრამით, სამინისტრო მხოლოდ ორი ცენტრის ბენეფიციარებს მოიცავს, თუმცა ამ მიმართულებით სამინისტრო აგრძელებს მუშაობას და 2016 წლიდან შევა საქართველოში არსებულ ყველა დღის ცენტრში.

გარდა ამისა, გვაქვს სოციალური ინკლუზიის პროგრამა, რომლის მიზანია, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისათვის, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოზარდების საერთო ინტერესების გარშემო მოზიდვა. „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, 2009 წლიდან დღემდე, ჩართულია 154 ბოშა მოზარდი.

**– რა ტიპის სიახლეებს და სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო სსსმ ბავშვებს. შექმნილია თუ არა სკოლებში მათთვის ხელშემწყობი პირობები – შეუძლიათ სარგებლობა კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზით, კომპიუტერებით, არიან თუ არა ჩართული კლასგარეშე ღონისძიებებში?**

– მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლის კარი ყველა ბავშვისათვის ერთნაირად გაიხსნა, განურჩევლად მისი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობისა, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონკრეტული დარღვევის მქონე ბავშვისთვის ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმები არ არის საკმარისი, რომ ბავშვმა მიიღოს შესაბამისი განათლება. ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო გაფართოებულ და ალტერნატიულ კურიკულუმზე მუშაობა. ეს არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული დოკუმენტები. მაგალითად, თუ მსუბუქი და საშუალო დარღვევის, ასევე სოციალური მდგომარეობის გამო ბავშვი ვერ ძლევს სასწავლო პროგრამას, მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სწავლება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არის მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე, ასევე სენსორული უსინათლო ან სუსტად მხედველი, სმენადაქვეითებული ან სმენის არმქონე, მას ესაჭიროება კიდევ უფრო განსხვავებული კურიკულუმი, ანუ იმაზე მეტი, რასაც ინდივიდუალური გეგმა გულისხმობს. რაც ნიშნავს სხვადასხვა დარღვევის მქონე ადამიანისთვის სხვადასხვა უნარების განვითარებას იმისათვის, რომ შეძლონ გარემოში მეტად ადაპტირება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნარების განვითარება. მაგალითად, სმენადაქვეითებულთათვის გაფართოებული კურიკულუმის მეთოდის პილოტირება დაწყებულია 202-ე სკოლაში.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვების განათლება. მაგალითად, ჩვენ გვყავს უსინათლო მოსწავლეები, რომლებსაც ასევე აქვთ ინტელექტუალური დარღვევა. მათ კიდევ უფრო განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ. ასევე სსსმ მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი სერვისია ინტეგრირებული კლასების შექმნა. მაგალითად, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის (სულ 6 კლასია) ეს ნიშნავს სასკოლო სივრცეში არსებულ კლასს, სადაც სპეციალისტების მიერ ხდება ქცევის მოწესრიგება, გარემოსთან შეგუების, სოციალური უნარების განვითარება. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებას, სასწავლო პროცესთან და თანაკლასელებთან ინტეგრაციას. ინტეგრირებული კლასები გვაქვს აგრეთვე მრავალმხრივი დარღვევის მქონე და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის.

სიახლეა ისიც, რომ შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირება მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, განათლების ყველა საფეხურზე, კანონმდებლობა სრულ თანხვედრაში უნდა მოვიდეს შშმ პირთა კონვენციის მოთხოვნებთან. ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობა უკვე დასრულებულია და, სათანადო პროცედურის გავლის შემდეგ, იგი პარლამენტს გადაეგზავნება განსახილველად. მომზადდება ცვლილებათა პაკეტები ყველა სხვა საფეხურისთვის.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტირება და სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაცია.

**– ინკლუზიურ განათლებას სკოლებში სპეციალისტთა გუნდი წარმართავს. პირველ რიგში, როგორია მათი კვალიფიკაცია, არიან თუ არა ჩართული პროფესიული განვითარების სქემაში, როგორია მათი ანაზღაურება და რა როლი აქვთ რესურსოთახებს?**

– რაც შეეხება სპეციალისტებს – პირველ რიგში, ეს ბავშვები სკოლის მოსწავლეები არიან და პასუხისმგებლობა ყველა მათ პედაგოგს თანაბრად ეკისრება, მათ შორის, სპეცმასწავლებელს, რომელიც ხელს უწყობს საგნის მასწავლებელს სსსმ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციაში. სხვა საკითხია მათი კვალიფიკაცია – დღესდღეობით შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი ძალიან ცოტაა ქვეყანაში. ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, ისაა, რომ 2013 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამაგისტრო პროგრამა, თუმცა ის ვერ პასუხობს დღევანდელ საჭიროებებს. გამოსავალი დღეისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სპეციალური მოდულებია სპეცმასწავლებელთა მოსამზადებლად. ასევე არსებობს საკმაოდ ფართო სპექტრი მოდულების – აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების სწავლება, სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლება, ჟესტური ენა, მშობელთა განათლება, პროგრამები დირექტორებისათვის და სხვ. მაგრამ საკმარისი არც ეს არის. სპეცმასწავლებლის მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, მათი მოტივაციის გაზრდაზე ზრუნვაც საჭიროა. თუ ადრე სკოლა საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებდა სპეცმასწავლებელს, ახლა, 1-დან 6 ბავშვამდე სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, სკოლა დამატებით დაფინანსებას იღებს, მე-7 ბავშვზე დაფინანსება ორმაგდება, ხოლო მე-12-ზე სამმაგდება. ამ თანხას სკოლა თავისი შეხედულებით განკარგავს სსსმ ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს: რესურსოთახის აღჭურვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სივრცეა, სადაც სპეცმასწავლებელს საშუალება აქვს, დამატებითი აქტივობების გამოყენებით, იმუშაოს სსსმ მოსწავლის სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებაზე; სპეციალური ინვენტარის შეძენა, სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე სკოლის გარემოს მორგება ან სპეცმასწავლებლის დაქირავება, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს პედაგოგიური განათლება.

რაც შეეხება პროფესიული განვითარების სქემაში მათი ჩართვის საკითხს, დღეისათვის ეს შეუძლებელია. მათ სხვა, ახალი გზა სჭირდებათ განვითარების. ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო მუშაობს ამ მიმართულებით და ჩვენს ხედვებს მალე წარვუდგენთ საზოგადოებას.

**– როგორ და რა შემთხვევაში ხორციელდება შინ სწავლება და რა სახით უწევს ინკლუზიურ განათლებას მონიტორინგს განათლების სამინისტრო?**

– იმ შემთხვევაში, თუ მულტიდისციპლინური გუნდი მიიჩნევს, რომ მოცემულ მომენტში, სსსმ მოსწავლისთვის უკეთესია სწავლების ამ ფორმაზე გადასვლა, სკოლა იღებს გადაწყვეტილებას და გადაჰყავს ბავშვი შინ სწავლების რეჟიმზე. აქამდე, მსგავსი შემთხვევების დროს, სკოლა ვერანაირ ფინანსურ დახმარებას ვერ უწევდა პედაგოგს. მას შემდეგ, რაც შევიდა ცვლილება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ასევე 2015 წლის განათლების მინისტრის №126/6 ბრძანების შესაბამისად, პედაგოგები, რომლებიც შინ სწავლებას განახორციელებენ, მიიღებენ დამატებით ანაზღაურებას. თუ რა დროით განხორციელდება შინ სწავლების პროცესი, ამას სპეციალისტები ადგენენ დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე, ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განათლების სამინისტროს მონიტორინგის ინსტრუმენტი არ ჰქონია. 2015 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და ქართველი ექსპერტების მიერ, ბევრ ევროპულ ქვეყანაში აპრობირებული და ქართულ სინამდვილეს მორგებული, მონიტორინგის ინსტრუმენტი შეიქმნა. ეს არ არის მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შექმნილი პროგრამა, იგი მოიცავს სკოლამდელ, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც. პილოტირება თბილისსა და ზუგდიდში მიმდინარეობდა, რომლის შედეგებსაც, თვის ბოლოს, კონფერენციაზე შევაჯამებთ, ხოლო მომავალი სასწავლო წლისათვის, სავარაუდოდ, ახალი პროგრამის დანერგვისთვის გარკვეულ თანხას მოვითხოვთ.

ესაუბრა
ანა ფირცხალაიშვილი

# მზარდი მობილობა
## ლიდერი უნივერსიტეტები და ფაკულტეტები



**გვესაუბრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს უფროსი ნინო წერეთელი**

**– რამდენ სტუდენტს მიენიჭა 2015-16 სასწავლო წლის საშემოდგომო მობილობაში მონაწილეობის უფლება, რომელ უმაღლეს სასწავლებელში და რომელ ფაკულტეტებზე გაკეთდა ყველაზე მეტი განაცხადი?**

– 2015-2016 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის მობილობაზე 56 დაწესებულების მიერ დარეგისტრირებული იყო 13797 ვაკანტური ადგილი. სტუდენტთა ელექტრონულ პორტალზე მობილობაზე განაცხადი გააკეთა 5137-მა სტუდენტმა, აქედან, პორტალის მონაცემებით, მობილობის უფლება მიენიჭა 4254 სტუდენტს. დღეის მდგომარეობით, ცენტრის მიერ დადებითი დასკვნა გაცემულია 3510 სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე.

**პირველ პრიორიტეტად გაკეთებული არჩევანის მიხედვით ტოპ 5 უნივერსიტეტი ასე გამოიყურება:**

1. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 948
2. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 680
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ – 611
4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 458
5. სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 267

**ფაკულტეტების მიხედვით, პირველ პრიორიტეტად გაკეთებული არჩევანის მიხედვით, ტოპ 5 ფაკულტეტია:**

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ – ბიზნესის მართვის – 419
2. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – ბიზნესის სკოლა – 348
3. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი – 290
4. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – სამართლის სკოლა – 222
5. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის – 219

**გენდერული მონაცემები** წელს ასეთია: საშემოდგომო მობილობაში მონაწილეობის მსურველთაგან 55,8% მამაკაცია, 44,2% – ქალი.

**– რომელ პროგრამაზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი კონკურსი?**

– ყველაზე მაღალი კონკურსი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – ბიზნესის ადმინისტრირება; მეორე ადგილზეა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – დიპლომირებული მედიკოსი. ორივე შემთხვევაში, 1 ადგილზე 5 კაცი მოდიოდა; მესამე ადგილზეა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია – ჯაზის ხელოვნება, 1 ადგილზე – 4 კანდიდატი.

**– როგორია ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემები?**

– მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, ვინაიდან ახლა საშემოდგომო მობილობა გვქონდა, ამიტომ, მოდი, ეს მონაცემები წინა ორი წლის საშემოდგომო მობილობის შედეგებს შევადაროთ. 2013-14 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში მობილობის უფლება მოიპოვა 3675-მა სტუდენტმა, მონაწილეობდა გაცილებით მეტი; 2014-15 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში – 4188 სტუდენტმა და 2015-16 სასწავლო წლის საშემოდგომო მობილობაში, როგორც უკვე მოგახსენეთ – 4254-მა. სახეზეა გარკვეული პროცენტული ზრდა, ყოველწლიურად, მეტი და მეტი მოთხოვნაა. მსგავსი შედეგი გვქონდა გაზაფხულის მობილობაზეც. გასულ წლებთან შედარებით, წელს, გაცილებით მეტმა სტუდენტმა ისარგებლა საგაზაფხულო მობილობით. ასე რომ, მობილობის პროცესი მოთხოვნადია, წლიდან წლამდე იზრდება მსურველთა რაოდენობა.

**– რომელი უმაღლესი სასწავლებლიდან მოხდა ყველაზე დიდი რაოდენობით სტუდენტთა გადინება?**

– ყველაზე დიდი რაოდენობით სტუდენტების გადინება მოხდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან – 697 სტუდენტი. ყველაზე დიდი გადინების ძირითადი მიზეზი ერთი და იმავე საგნის სამჯერ ჩაუბარებლობაა; მეორე ადგილზეა საქართველოს უნივერსიტეტი – 578 სტუდენტი; მესამეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 280 სტუდენტი; მეოთხე ადგილზეა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეხუთეზე – შპს კავკასიის უნივერსიტეტი. ხუთი უნივერსიტეტიდან სამი სახელმწიფო უნივერსიტეტია. აქედან გამომდინარე გადინების მიზეზი ფინანსური პრობლემა ვერ იქნება, ძირითადი მიზეზი აკადემიური მოუსწრებლობაა.

**– სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, აქვს თუ არა მობილობის უფლება?**

– სტუდენტს, სტატუსის შეჩერებიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, უფლება აქვს როგორც იქვე, თავის უნივერსიტეტში აღიდგინოს სტატუსი, ასევე მობილობაში მიიღოს მონაწილეობა. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტს აღარ აქვს უფლება, იმავე უნივერსიტეტში მოიპოვოს აღდგენის უფლება, მაგრამ რაც შეეხება მობილობას, ნამდვილად აქვს მობილობის უფლება, შეწყვეტის ბრძანების გამოცემიდან, ერთი წლის განმავლობაში.

კანონი სტატუსშეჩერებულ და სტატუსშეწყვეტილ სტუდენტებს სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებს. ეს გამოწვეულია შეწყვეტის და შეჩერების მიზეზებიდან გამომდინარე. შეჩერების მიზეზი შეიძლება იყოს: პირადი განცხადება, ავადმყოფობა, უცხოეთში გამგზავრება სასწავლებლად და ა.შ. შეწყვეტა კი, ძირითადად, სტუდენტისთვის შეუფერებელი საქციელის ან აკადემიური მოუსწრებლობის გამო ხდება. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზეზი ან აკადემიური მოუსწრებლობაა – სტუდენტი ვერ სწავლობს და ამიტომ უწყვეტს უნივერსიტეტი სტატუსს (მაგალითად, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სამჯერ ერთი და იმავე საგნის ვერ ჩაბარების შემდგომ სტუდენტს უწყვეტენ სტატუსს. ეს მათ შინაგანაწესშიც უწერიათ და, როცა სტუდენტი ხელშეკრულებას აწერს ხელს, ამ პირობას ეცნობა და მათ ვებგვერდზეცაა განთავსებული, საჯარო ინფორმაციის სახით. ასე რომ, სტუდენტებმა იციან ამის შესახებ), ან სტუდენტისთვის შეუფერებელი საქციელი, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეჩერება განსხვავებული მიზეზებით ხდება, მიდგომაც სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების მიმართ განსხვავებულია.

**– რა შემთხვევაში შეიძლება დაკარგოს მობილობით მოსარგებლე სტუდენტმა სახელმწიფო გრანტი და რამდენჯერ შეუძლია მობილობით სარგებლობა?**

– სტუდენტს მობილობით სარგებლობა მუდმივად შეუძლია, ყოველ სემესტრში, ვიდრე კვალიფიკაცია მიენიჭება. აქ ერთი საინტერესო ნიუანსია – სტუდენტს მობილობაში მონაწილეობის უფლების მიღება შეუძლია ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდგომ, ანუ სწავლის დაწყებიდან, ჩარიცხვის ბრძანება რომ დაიწერება, ერთი წლის სწავლების შემდგომ. ეს არის ერთადერთი პირობა, შემდეგ ყოველ სემესტრში შეუძლია მობილობით სარგებლობა. ჩვენ გვაქვს ბაზაში მსგავსი მაგალითები, როცა სტუდენტი ყოველ სემესტრში იღებს მონაწილეობას მობილობის პროცესში.

რაც შეეხება გრანტის გადაყოლას. მაგალითად, 2013-15 წლებში მოპოვებული გრანტი სტუდენტს გადაყვება ნებისმიერ აკრედიტებულ პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში. რაც შეეხება წინა წლებს, 2011-12 წლების კანონმდებლობით განსაზღვრული იყო პროგრამები, სადაც შეიძლებოდა მხოლოდ 100%-იანი გრანტის მოპოვება. ამ პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში, სტუდენტს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 2011 და 2012 წლებში და მოიპოვა ნაწილობრივი დაფინანსება, სასწავლო გრანტი არ გადაჰყვება. მაგალითად, თუ მე 2012 წელს ვირიცხებოდი ისეთ პროგრამაზე, სადაც 50%-იანი გრანტი მოვიპოვე და შემდეგ, მობილობით, მოვინდომებდი ისეთ პროგრამაზე გადასვლას, რომელიც 2012 წელს 100%-ით ფინანსდებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში, 50%-იანი გრანტი არ გადამყვება. ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო ნიუანსია. ვიმეორებ, რომ 2013-15 წლებში ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებსაც გრანტი აქვთ მოპოვებული, ნებისმიერ აკრედიტებულ პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში, თავიანთი გრანტი მიყვებათ.

**– სარგებლობენ თუ არა მობილობით უცხო ქვეყნის მოქალაქეები და როგორი პირობებია ამ შემთხვევაში?**

– რა თქმა უნდა, უცხო ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მობილობით, ეს მათი უფლებაა. უცხო ქვეყნის ის მოქალაქეები, რომლებიც უკვე ჩარიცხულები არიან და სწავლობენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვეულებრივად, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ მობილობით. ბევრი ასეთი შემთხვევა გვაქვს და ჩვენ მათ ე.წ. „ნაეკნულიანებს" ვეძახით. რადგან მათ ეროვნული გამოცდები არ აქვთ ჩაბარებული და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლესებში, მობილობის უფლებას მოიპოვებენ კონკურსის გარეშე. შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოშიც ჰქონდეს ეროვნული გამოცდები ჩაბარებული. ასეთ შემთხვევაში, პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და საქართველოს მოქალაქეებს აბსოლუტურად თანაბარი აქვთ.

რაც შეეხება უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლას, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენი ულიარდება იქ დაგროვილი კრედიტები იმასთან შესაბამისობით, რომელ უმაღლესში მოდის, იმიტომ რომ, ძირითადად, კრედიტების აღიარებას უმაღლესი ახდენს, რა თქმა უნდა, ჩვენი ცენტრის გავლით. ისევე როგორც საქართველოს შიგნით, უნივერსიტეტებს შორის მობილობის დროს, უცხოეთიდან მობილობის შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოდის სტუდენტი. საერთაშორისო მობილობის დროსაც, ფაქტობრივად, იგივე ე.წ. „თამაშის წესებია" – ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მიმღები უნივერსიტეტი მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაზე რა რაოდენობის კრედიტებს ულიარებს. მარტივად რომ ვთქვათ, თეატრალურზე რომ სწავლობს სტუდენტი და სამართალზე გადადის, ის უფრო დიდი რაოდენობის კრედიტებს კარგავს გადასვლის დროს, ვიდრე ის, ვინც სამართლიდან სამართალზე გადადის. ეს ლოგიკურია და არა აქვს მნიშვნელობა, საერთაშორისო მობილობაა თუ, ვთქვათ, რომელიმე ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის მობილობა.

**– ხომ არ იქნება რაიმე სიახლე იანვარში დაგეგმილ მობილობის პროცესში?**

– ჩვენ, ფაქტობრივად, ახლა დავასრულეთ საშემოდგომო მობილობის პროცესი, რომელიც სამი ეტაპისგან შედგება: პირველი – უნივერსიტეტების მიერ ვაკანტური ადგილების დარეგისტრირება; მეორე – სტუდენტების მიერ ელექტრონულ პორტალზე განაცხადის განთავსება; მესამე ეტაპზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შედეგად, თითოეულ სტუდენტთან მიმართებაში, გასცემს დადებით ან უარყოფით დასკვნებს.

როდესაც საზოგადოებისთვის მობილობის პროცესი მთავრდება (პირველ ოქტომბერს უნივერსიტეტების მიერ უნდა იყოს გამოცემული ბრძანებები), შემდეგ იწყება სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა ჩვენს ცენტრში. ჩვენთან შემოდის არა მარტო ჩარიცხვის ბრძანებები, არამედ ამორიცხვის ბრძანებებიც „დედა უნივერსიტეტიდან", საიდანაც გადადის სტუდენტი და იწყება საკმაოდ სკრუპულოზური სამუშაო – ანალიზი და შედარება. ეს პროცესი თვის ბოლომდე გრძელდება და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ ვიწყებთ ფიქრს მომავალ მობილობაზე.

გარკვეული იდეები გვაქვს, მაგრამ მათი განხორციელება დამოკიდებულია პროგრამისტთა იმ ჯგუფზე, რომელიც გვერდში გვიდგას. ეს არის emis – მართვის საინფორმაციო სისტემები, სადაც განთავსებულია ჩვენი ბაზა. ისინი ახორციელებენ ჩვენს ტექნიკურ მხარდაჭერას. ვცდილობთ, მათთან შეთანხმებით დავგეგმოთ ყველა ცვლილება. ამიტომ დღეს რაიმე სიახლეზე საუბარი ნაადრევია. ანალიზს ნოემბრის თვეში დავასრულებთ და თუ დავინახავთ, რომ რაიმე ცვლილებაა საჭირო, მერე შევუთანხმდებით emis-ს და ერთობლივად დავიწყებთ მუშაობას. ნებისმიერ სიახლეს, რასაც ვგეგმავთ, მათი მხრიდან, ტექნიკური უზრუნველყოფა სჭირდება. მაგალითად, სტუდენტებისთვის ეს არის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია. პორტალზე აისახება ყველა სიახლე, რასაც საზოგადოებას ვთავაზობთ.

ესაუბრა
ლალი თვალაბეიშვილი

სკოლამდელი აღზრდა

# ადრეული აღზრდისა და განათლების შესახებ კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია

ლალი ჯელაძე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით, 22 ოქტომბერს, ადრეული აღზრდისა და განათლების შესახებ კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია გაიმართა.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში მნიშვნელოვან რეფორმას გულისხმობს. პროექტი საშუალებას მისცემს ყველა ბავშვს, რომ ბაგა-ბაღებში მათთვის ხელმისაწვდომი იყოს რამდენიმესაფეხურიანი სკოლამდელი უფასო საგანმანათლებლო პროგრამა.

*„პირველად საქართველოში, სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი იქნება უფასო სასკოლო მზაობით, რაც სახელმწიფოს მხრიდან გულისხმობს უფასო მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებას, მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურას, კვებას, სანიტარიულ პირობებს და ა.შ.“* – აცხადებს **ეკა ბესელია**.

რეფორმა წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე განხორციელდება და ინიციატივა სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრულ განახლებას და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას ითვალისწინებს. დღემდე არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს. არსებულ, მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს მხოლოდ ჩანაწერი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, სხვა უფლებამოსილებებს შორის, არის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

იმის გამო, რომ ამ სფეროში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, არსებითად განსხვავდება მდგომარეობა და ბავშვები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან; მეტიც, უახლესმა კვლევებმა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებელი პირობები გამოავლინა და ზოგიერთში კი – საგანგაშო მდგომარეობა (არადამაკმაყოფილებელია ინფრასტრუქტურა, დაფიქსირდა ძალადობის შემთხვევები, კვების საკითხის მოუწესრიგებლობა, ანტისანიტარია და ა.შ.).

*„კანონპროექტი ორიენტირებულია განათლების ხარისხის განვითარებაზე, საყოველთაო ხელმისაწვდომობასა და სისტემური მიდგომის გაუმჯობესებაზე. როგორც კი ამოქმედდება კანონი, ჩვენ გვაქვს ვალდებულებები, მათ შორისაა სკოლამდელი მზაობის პროგრამა, რომელიც უკვე დაწყებული გვაქვს. სტანდარტიც დამტკიცებულია. შესაბამისად, როგორც კი კანონი ძალაში შევა, ჩვენც დავიწყებთ ყველა სხვა თანამდევი საკითხის დამტკიცებას“* – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა.**

კანონპროექტში თავმოყრილია ყველა ძირითადი სტანდარტი, რომლებმაც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო უნდა დაარეგულიროს. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრას. კანონპროექტის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი საგანმანათლებლო სფეროში მშობლების სრული ჩართულობაა. ამ მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში შეიქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას.

კანონპროექტის თანახმად, 10-მდე სამთავრობო სტრუქტურა თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ბაგა-ბაღების გამართულად მუშაობაზე. ამასთან, ყველა ამღზრდელ-პედაგოგი ვალდებული იქნება, ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით გადამზადება გაიაროს. კანონპროექტის მიხედვით, ყველა ბაგა-ბაღში უნდა შეიქმნას მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები. ასევე, რეგულირებადი იქნება ჯგუფებში ბავშვების რაოდენობაც.

კანონპროექტის მიხედვით, სკოლამდელი საგანმანათლებლო სისტემის დანერგვისას, გათვალისწინებული იქნება ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: 1. ადრეული განათლება და ზრუნვა (დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის); 2. სკოლამდელი განათლება (2 წლიდან სკოლაში შესვლამდე), რომელიც მოიცავს სკოლამდელი მზაობის პროგრამას.

❖ 2-3 წლის ბავშვთა ჯგუფში არა უმეტს 25 ბავშვი უნდა იყოს, ხოლო რაც შეეხება აღმზრდელ-აღსაზრდელის თანაფარდობას, ეს თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1-13-ს.

❖ 3-4 წლიან ჯგუფებში უნდა იყოს არა უმეტს 30 ბავშვი – მათი თანაფარდობა პედაგოგებთან 1-15-თან. ყველა ზედა ასაკობრივ ჯგუფშიც თანაფარდობის ანალოგიური სისტემა იმოქმედებს.

კანონპროექტი დაადგენს ბაგა-ბაღების ავტორიზაციის საკითხსაც. კანონი ძალაში შევა 2017 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო კანონის ის მუხლი, რომელიც ჯგუფის მოცულობასა და პედაგოგების თანაფარდობას განსაზღვრავს, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელებს, 2017 წლის 1 სექტემბრიდან, პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ, ხოლო მათ დამხმარეებს – აღმზრდელის სტატუსი.

კანონპროექტის პრეზენტაციას სასტუმრო „რედისონში“ პროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების, იუნისეფის და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიების მიმდინარეობის პროცესში კანონპროექტის ირგვლივ დისკუსია-განხილვა გაიმართა.

**საშა გრაუმანი**, იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში, კანონპროექტს ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს



უწოდებს, რადგან: *„საქართველოს დღემდე არ აქვს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ, შესაბამისად, ამ კანონის მიღებით სახელმწიფო უზრუნველყოფს კონსტიტუციით გარანტირებულ განათლების უფლებას ყველასთვის და განათლების ეროვნული სისტემის ჰარმონიზაციას განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან. იუნისეფი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონპროექტის შემუშავებას. კანონი შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს და სახელმწიფო სტანდარტებს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად ყველა ბავშვისთვის საქართველოში“.*

საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო გამოცდილების, აგრეთვე, საბავშვო ბაღებში ძალადობის შესახებ სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით, იუნისეფი მოუწოდებს პარლამენტს, კანონში უკეთ ასახოს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა:

❖ აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული განვითარების სისტემა, მათ შორის, სასწავლო კურსები პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე და სწავლების პერიოდში ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის, არაძალადობრივი დისციპლინის, ბავშვთა უფლებების და უსაფრთხოების საკითხებზე;

❖ სტანდარტები ჯგუფის მოცულობისა და მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობის შესახებ, რაც გულისხმობს ბავშვთა მაქსიმალურ რაოდენობას ჯგუფში – 15-22, ხოლო აღმზრდელ-პედაგოგების მინიმალური რაოდენობა – ერთი მასწავლებელი 8-15 ბავშვზე;

❖ ეროვნული სტანდარტების განხორციელების რეგულარული მონიტორინგი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ.

გაეროს ბავშვთა ფონდი აცხადებს, რომ გააგრძელებს საკანონმდებლო პროცესის მხარდაჭერას საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.

მანდატურის სამსახური

# რვა საჯარო სკოლაში მანდატურები პირველად შევიდნენ

ახალ სასწავლო წელს სკოლის მანდატურები 3 რეგიონის 8 საჯარო სკოლაში პირველად შევიდნენ და მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. მანდატურის სამსახური ამოქმედდა: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალალის საჯარო სკოლაში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საჯარო სკოლაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების – გამარჯვება, ყარაჯალასა და ქესალოს საჯარო სკოლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ კაზრეთისა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლებში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღალოს საჯარო სკოლაში მანდატურები ნოემბრიდან შევლენ, სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში კი – ახალი წლიდან.

სკოლებში შესვლამდე მანდატურები გადამზადდნენ, გაიარეს ყველა აუცილებელი ტრენინგმოდული და ფლობენ შესაბამის სერტიფიკატებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახურმა მნიშვნელოვანი თვისობრივი და შინაარსობრივი ცვლილება განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რომელიც სკოლას კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს მანდატურის, ფსიქოლოგიური ცენტრებისა და სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სახით. დღეს იგი ორიენტირებულია მოსწავლის/სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისა და პედაგოგის უსაფრთხოებაზე, დანაშაულის პრევენციაზე. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მანდატურის სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობა, გასულ წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა საჯარო სკოლაში მომხდარი დარღვევები.

მანდატურები მუდმივად ეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას და ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, იმაღლებენ კვალიფიკაციას, ხდება მათი გეგმაზომიერი გადამზადება ახალი პროგრამების მიხედვით.

მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: UNICEF, USAID, PH International და NASRO. ეს თანამშრომლობა ეფექტურს ხდის საქმიანობას. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა გაგრძელდება და გაღრმავდება.

**კონსტანტინე ანჯაფარიძე**, მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე: *„მანდატურის სამსახური აგრძელებს გაფართოების პროცესს. მნიშვნელოვანია, რომ ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა საჯარო სკოლებიდან, რომ შევიყვანოთ მანდატურები.*

*დღეს სპეციალურად გადამზადებული მანდატურები შევიყვანეთ 4 რეგიონის საჯარო სკოლებში. გაფართოების პროცესს გეგმის მიხედვით გავაგრძელებთ და უახლოეს მომავალში, მანდატურის სამსახური ყველა სკოლაში იქნება“.*

**გურამ ნათენაძე**, გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორი: *„დღეს ჩვენი სკოლისთვის არაჩვეულებრივი დღეა – ჩვენს სკოლაში პირველად შემოვიდა მანდატურის სამსახური, რომელსაც დიდი ხანია ველოდით. ვიმედოვნებთ, რომ ვითანამშრომლებთ და შევეცდებით ერთობლივი მუშაობით აღმოვფხვრათ ყველა ის პრობლემა, რომლის წინაშეც დგას სკოლა“.*




**ნინო ქასაშვილი**, მანდატური: *„დღეს მანდატურები პირველად შემოვედით გამარჯვების საჯარო სკოლაში. ძალიან კარგად შეგვხვდნენ და მოლოდინიც გვაქვს ძალიან დიდი. ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა მეგობრობაზე იქნება დაფუძნებული“.*

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)



ზურაბ ვახანია

# რა არის შეკრება და გამოკლება

## ტიპური შეცდომები შეკრება-გამოკლების დროს

1. ზეპირად ანგარიშისას (მოსმენით ან ჩანაწერის ცქერით – სულერთია): 800 – 325 = 575.

*– სხვაობაში ასეულის ციფრის არშემცირება.* ***მიზეზი****: ასეულის სესხების საჭიროების უგულებელყოფა ან ნასესხების დავიწყება.*

2. ქვეშმიწერით ანგარიშისას: 277 + 418 = 6815.

*– დამახსოვრებული ერთიანის არა სათანადო სათანრიგო ციფრისთვის მიმატება, არამედ ცალკე თანრიგში ჩაწერა.* ***მიზეზი****: ქვეშმიწერით შეკრება-გამოკლების წესების მექანიკურად, გაუაზრებლად შესრულება.*

3. ზეპირად ანგარიშისას (ჩანაწერის ცქერით):

593 + 10 = 63.

*– სამნიშნა რიცხვის ჩანაწერში შუა ნულიანის გამოტოვება.* ***მიზეზი****: სამნიშნა რიცხვის აგებულების ცუდად ცოდნა.*

4. სხვაობას 80 – 68 ანგარიშობს ასე: რაკი ნულს რვა არ აკლდება, ამიტომ ვისესხოთ...

*– ზეპირი ანგარიშის მართებული, მაგრამ ცუდი, არაოპტიმალური გზის შერჩევა.* ***მიზეზი****: სხვაობის, როგორც შეკრების საპირისპირო მოქმედების, არასაკმარისი გააზრება.*

5. „ჩვენს კლასში მოსწავლეები დადიან მხოლოდ ცეკვის, მუსიკის ან სპორტის წრეებზე. ცეკვაზე დადის 11 მოსწავლე, მუსიკაზე – 2, სპორტზე – 5. ამიტომ წრეებზე დადის სულ 18 მოსწავლე".

*– თანამკვეთ ერთობლიობათა გაერთიანებისას მათი წევრების რაოდენობათა შეკრება.* ***მიზეზი****: შეკრების მოქმედების არასაკმარისი გააზრება ან მოცემული რიცხვების მექანიკური შეკრება.*

================================================

1. შემდეგთაგან აარჩიეთ ყველაზე ქმედითი **ზოგადი** საშუალება განხილული შეცდომების ასარიდებლად ანდა დასაძლევად: – მათემატიკის, კერძოდ, არითმეტიკის სწავლება...

ა) საკმაო გავარჯიშების თანხლებით;
ბ) ჩანაწერების მართებულად გაკეთების თანხლებით;
გ) ჯგუფურ-ინტერაქციულად;
დ) ინტერაქციულ-კონსტრუქცივისტულად;
ე) ღრმა გააზრებითად, ინტენსიურად;
ვ) სიტყვიერი მსჯელობის თანხლებით.

**სწორი პასუხი: ე**

2. მასწავლებელი IV კლასში მოსწავლეებს ატარებინებს 5-6-ნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლებას ძველებური საანგარიშოს მსგავსი საკლასო თვალსაჩინო ხელსაწყოთი და, პარალელურად, დაფაზე შესაბამის ციფრულ ჩანაწერებს აკეთებინებს; ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, რომ თითოეული ღერძი რომელიღაც თანრიგს შეესაბამება. შეხსენება: თანრიგი – რიცხვის ციფრულ ჩანაწერში ცარიელი ადგილი, რომელშიც შესაბამისი ციფრი იწერება (ჩვენს ხელსაწყოზე – კოჭები ჩამოეცმება). რომელი შეკრება სრულდება აქ დახაზულ ხელსაწყოზე?




ა) 914103 + 21830; დ) 91413 + 200930;
ბ) 914103 + 20930; გ) 914103 + 2830;
ე) 9014103 + 20930; ვ) 914103 + 20830.

**სწორი პასუხი: ბ**

3. მოიფიქრეთ, შემდეგთაგან ყველაზე მეტად რომელი საკითხის სწავლების **განსამტკიცებლადაა** შესაფერისი წინა ამოცანის სასწავლო ქმედების მსგავსი აქტივობანი (იმავე ფარგლებში, რომლებიც იმავე ასარჩევ პასუხებშია):

ა) შეკრება-გამოკლება მილიონის ფარგლებში;
ბ) შეკრება-გამოკლების ალგებრული თვისებები;
გ) შეკრება-გამოკლება მილიარდის ფარგლებში;
დ) რიცხვები (თვლა) მილიარდის ფარგლებში;
ე) მილიარდი და მასზე მეტი რიცხვები;
ვ) რიცხვები (თვლა) მილიონის ფარგლებში.

**სწორი პასუხი: ა**

4. შემდეგთაგან აარჩიეთ ორი ერთობლიობა, რომელთა თანაკვეთაა:

I. მთელ რიცხვთა სიმრავლე; II. ქართველი ექიმების ერთობლიობა.

ა) I. ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე და უარყოფით რიცხვთა სიმრავლე;
II. ქართველთა ერთობლიობა და ექიმთა ერთობლიობა;
ბ) I. დადებით რიცხვთა სიმრავლე და უარყოფით რიცხვთა სიმრავლე;
II. სამკურნალო დაწესებულებებში მომუშავეთა ერთობლიობა და ქართველთა ერთობლიობა;
გ) I. რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე და მთელ რიცხვთა სიმრავლე;
II. ქართველთა ერთობლიობა და ექიმთა ერთობლიობა;
დ) I. ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე და დადებით რიცხვთა სიმრავლე;
II. ქართველ ექიმთა ერთობლიობა და ექთანთა ერთობლიობა;
ე) I. ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე და ნული;
II. ექიმთა ერთობლიობა და ქართველ ექთანთა ერთობლიობა.

**სწორი პასუხი: გ**

5. ერთ სიმრავლეში 6 წევრია, მეორეში – 20. რამდენი წევრი შეიძლება იყოს მათ თანაკვეთაში?

ა) 0-14; ბ) მხოლოდ 14; გ) მხოლოდ 0; დ) 0-26; ე) 0-6; ვ) 14-26; ზ) 0-20.

**სწორი პასუხი: ე**

6. ერთ სიმრავლეში 6 წევრია, მეორეში – 20. რამდენი წევრი შეიძლება იყოს მათ გაერთიანებაში?

ა) 6-26; ბ) 20-26; გ) მხოლოდ 14; დ) მხოლოდ 26; ე) 6-20; ვ) 14-28; ზ) 14-26.

**სწორი პასუხი: ბ**

7. მოცემულია თანამკვეთი ხუთკუთხედი და მართკუთხედი. ნახაზზე მოძებნეთ ექვსკუთხედი. მოიფიქრეთ, შემდეგთაგან რომელია მისი ყველაზე ზუსტი აღწერა – სიბრტყის წერტილთა სიმრავლე, რომლებიც ეკუთვნის:




ა) ხუთკუთხედს ანდა მართკუთხედს;
ბ) ხუთკუთხედს(აც) და მართკუთხედს(აც);
გ) არა სამკუთხედს;
დ) მხოლოდ ხუთკუთხედს (და არა მართკუთხედს);
ე) მხოლოდ ხუთკუთხედს (და არა მართკუთხედის შიგა არეს);
ვ) ან (მხოლოდ) ხუთკუთხედს, ან (მხოლოდ) მართკუთხედს.

**სწორი პასუხი: ე**

8. გაარკვიეთ, წინა ამოცანის ნახაზზე როგორი მრავალკუთხედია მოცემული ხუთკუთხედისა და მართკუთხედის თანაკვეთა და როგორი – გაერთიანება:

ა) სამკუთხედი, შვიდკუთხედი;
ბ) ოთხკუთხედი, რვაკუთხედი;
გ) ოთხკუთხედი, ექვსკუთხედი;
დ) სამკუთხედი, ცხრაკუთხედი;
ე) ექვსკუთხედი, რვაკუთხედი;
ვ) სამკუთხედი, ექვსკუთხედი;
ზ) სამკუთხედი, რვაკუთხედი.

**სწორი პასუხი: ზ**

9. გაარკვიეთ, ერთობლიობათა შემდეგი წყვილებიდან რომლებია თანაუკვეთი:

I. $\{r, 3,4, -2/5, k, 18\}$და $\{-3/4, 81, n, r\}$;
II. $\{a_3, a_6, a_9, \ldots, a_{60}\}$ და $\{a_2, a_5, a_8, \ldots, a_{80}\}$;
III. მართ პრიზმათა ერთობლიობა და აგურედთა ერთობლიობა;
IV. დადებით რიცხვთა ერთობლიობა და უარყოფით რიცხვთა ერთობლიობა;
V. თევზების ერთობლიობა და მწერების ერთობლიობა;
VI. ოთხფეხა ცხოველთა ერთობლიობა და ქვეწარმავალთა ერთობლიობა.

**სწორი პასუხი: II, IV, V**

10. შემდეგთაგან ყველაზე მეტად რომელი ზეპირი გამოთვლისთვისაა მოსახერხებელი ზემორე აღწერილი „შევსების ხერხი"?

ა) 68 – 67; ბ) 824 – 99; გ) 94 – 21; დ) 824 + 99; ე) 507 – 459; ვ) 19 – 2; ზ) 19 + 2.

**სწორი პასუხი: ე**

11. გაკვეთილის თემაა:

„ციფრული ჩანაწერით მოცემულ რიცხვთა შეკრება, როცა ათეულთაგან მორჩენილი ნაშთები ახალ ათეულს არ ქმნის". (100-ის ფარგლ.)

შემდეგთაგან რომელი მაგალითია ყველაზე შესაფერისი ამ გაკვეთილისთვის?

(ა)

| | |
|---|---|
| ორმოცდარვა | 2 · 20 + 8 |
| + | |
| ორმოცდაცხრა | 2 · 20 + 9 |

(ბ)

| | |
|---|---|
| 35 | 3 · 10 + 5 |
| + | |
| 56 | 5 · 10 + 6 |
| ----- | ------------ |
| 91 | 8 · 10 + 11 |

(გ)

| | |
|---|---|
| 45 | 2 · 20 + 5 |
| + | |
| 54 | 5 · 10 + 4 |
| ----- | ------------ |
| 99 | 9 · 10 + 9 |

(დ)

| | |
|---|---|
| ორმოცდახუთი | 4 · 10 + 5 |
| + | |
| ორმოცდასამი | 4 · 10 + 3 |
| ------------ | ------------ |
| ოთხმოცდარვა | 8 · 10 + 8 |

(ე)

| | |
|---|---|
| 35 | 3 · 10 + 5 |
| + | |
| 34 | 3 · 10 + 4 |
| ----- | ------------ |
| 69 | 6 · 10 + 9 |

**სწორი პასუხი: ე**

12. წინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ ყველაზე შესაფერისი საგაკვეთილო თემისთვის: „ციფრული ჩანაწერით მოცემულ რიცხვთა შეკრება, როცა ათეულთაგან მორჩენილი ნაშთები ახალ ათეულს ქმნის".

**სწორი პასუხი: ბ**

13. იმავე ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ ყველაზე შესაფერისი საგაკვეთილო თემისთვის: „სიტყვიერად მოცემულ რიცხვთა შეკრება, როცა ოცეულთაგან მორჩენილი ნაშთები ახალ ოცეულს არ ქმნის, მაგრამ ქმნის ახალ ათეულს".

**სწორი პასუხი: ა**

14. გაარკვიეთ, იმავე ასარჩევ პასუხებში რისთვისაა პარალელურად გრძელ რთულ გამოსახულებათა შეკრება:

ა) ბავშვს უადვილებს ორნიშნა რიცხვის ქართული სახელწოდების თვალსაჩინოდ დანახვას და მის დაკავშირებას ათობით ციფრულ ჩანაწერთან.
ბ) ბავშვს უადვილებს ორნიშნა რიცხვის ქართული სახელწოდების თვალსაჩინოდ დანახვას და უვითარებს ზეპირი შეკრების უნარჩვევებს.
გ) ბავშვს უჩვენებს ქვეშმიწერით შეკრების არსს და აჩვევს ქვეშმიწერით გააზრებულად შეკრებას, ანუ უსაბუთებს ქვეშმიწერით შეკრების წესს (ალგორითმს).
დ) ასეთი ჩანაწერები კარგი შემამზადებელია სამნიშნა, ოთხნიშნა და საზოგადოდ მრავალნიშნა რიცხვების შეკრების სასწავლად მომავალში.
ე) ასეთი ჩანაწერები მხოლოდ მასწავლებლისთვისაა, საკითხის ღრმად გასააზრებლად, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კლასშიც, მოსწავლეებისთვის, ასეთივე რთული ჩანაწერები უნდა გაკეთდეს.

**სწორი პასუხი: გ**

15. მოიფიქრეთ, რატომ არ ვარგა მაკლების ისეთივე უშუალო გათვალსაჩინოება, როგორც შესაკრებთა და საკლებისა (ტრადიციულად, როცა სურათზე ერთდროულადაა გამოსახული საკლებიცა და მაკლებიც):

ა) მხოლოდ კომპიუტერულ სურათებში შეიძლება იყოს მოძრავი ნაწილები, მოძრაობის გარეშე კი ნამდვილი არითმეტიკული მოქმედება ვერ გათვალსაჩინოვდება;
ბ) როგორც მეცნიერულ-მათემატიკური, ისე მეთოდიკური თვალსაზრისით, გამოკლება არის შეკრების საპირისპირო მოქმედება;
გ) მაკლები ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე საკლები;
დ) მაკლები არ არსებობს საკლებისგან გამოცალკევებულად, იგი საკლების ნაწილია (მათემატიკურად – ქვესიმრავლე);
ე) მაკლები არის ის რიცხვი, რომლის მიმატებითაც სხვაობა გახდება საკლების ტოლი (რა უნდა მივუმატოთ სხვაობას, რათა საკლები მივიღოთ?).

**სწორი პასუხი: დ**

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# კოსმოპოლიტური გარემო და პრაქტიკული ასპექტებით გაჯერებული პროგრამები



**რუბრიკის სტუმარია მარიკა ქურდაძე, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის (UAB) სტუდენტი**

**– მარიკა, მოსწავლეობის პერიოდი ახალციხის პირველ საჯარო სკოლაში გაატარე. რამდენად წარჩინებული მოსწავლე იყავი და როგორ გახსენდება იქ გატარებული წლები, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?**

– პირველ რიგში, ულრმესი მადლობა თქვენს რუბრიკას მასპინძლობისთვის. ჩემთვის დიდი პატივია გავუზიარო საკუთარი გამოცდილება საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს და გაზეთის ერთგულ მკითხველს.

სკოლის პერიოდი ძალიან ტკბილად მახსენდება, წარჩინებით – ვერცხლის მედალზე დავამთავრე, რაც ჩემი მასწავლებლების დიდი დამსახურებაა. ჩემი სკოლა იყო ერთ-ერთი მოწინავე ახალი სასწავლო მეთოდების დანერგვის მიმართულებით. მასწავლებლები ცდილობდნენ, მეტი ყურადღება დაეთმოთ მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებისთვის, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თვითგამოხატვა, კრეატიულობა და ა.შ. ადრეული პერიოდიდანვე ვცდილობდი ბევრ აქტივობებში მონაწილეობას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რაც დამეხმარა განმევითარებინა კომუნიკაციის უნარი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ჰუმანიტარული საგნები, ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია და ამიტომაც, ჩემი მომავალი პროფესია სოციალურ მეცნიერებებს დავუკავშირე.

**– მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში (FLEX), როსკომონის საჯარო სკოლაში (მიჩიგანი, აშშ) გაემგზავრე. მიამბე ამის შესახებ**

– მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა FLEX-ის შესახებ მეგობრისგან გავიგე. გადავწყვიტე, ბედი მეცადა. მაშინ ვერც კი წარმომედგინა, რომ „ამერიკული ოცნება" რეალობად შეიძლებოდა მექცია. გავიარე საკონკურსო ეტაპი და აპრილის ერთ მშვენიერ დღეს გაისმა ზარი, რომელმაც მამცნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სტიპენდია მოვიპოვე და, 50 ქართველ მოსწავლესთან ერთად, ერთი წლით, სასწავლებლად ამერიკაში გავემგზავრე. აქვე აღვნიშნავ, რომ FLEX-ის პროგრამა საშუალებას აძლევს ქართველ ახალგაზრდებს სრულიად უფასოდ ისწავლონ ამერიკულ სკოლაში, იცხოვრონ მასპინძელ ოჯახთან ერთად და ახლოს გაიცნონ ამერიკული კულტურა. 2008-2009 წელი მიჩიგანის შტატში გავატარე, ვსწავლობდი როსკომონის საჯარო სკოლაში, ვცხოვრობდი ძალიან საინტერესო და არაჩვეულებრივ ოჯახთან ერთად, რამაც საშუალება მომცა, უკეთ გამეცნო ამერიკული ყოველდღიური ცხოვრება, ღირებულებები და კულტურა, წარმომეჩინა ჩემი სამშობლო და ვყოფილიყავი საქართველოს ელჩი ამერიკის ტერიტორიაზე.

**– როგორ დაახასიათებ აშშ-ს სასკოლო განათლების სისტემას?**

– ამერიკული განათლების სისტემა ძალიან განსხვავდება ქართული სისტემისგან. სასწავლო პროგრამაში დიდი ადგილი უჭირავს ისეთ საგნებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეში ახალი უნარების განვითარებას. ამერიკულმა გამოცდილებამ დიდი როლი ითამაშა ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში. ვმონაწილეობდი მოხალისეობრივ აქტივობებში, პროექტებსა და სათემო კამპანიებში, რითაც კიდევ უფრო დავუახლოვდი ადგილობრივ საზოგადოებას და უკეთ გავეცანი კულტურულ თავისებურებებს. გავაცნობიერე, რომ, თუკი მოინდომებ, შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. ასე რომ, ოცნებები ახდება! აქვე ვიტყვი, რომ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ გამოცდილებას უკავშირდება. არსებობს პროგრამის კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც საქართველოში დაბრუნებულ პროგრამის მონაწილეებს აერთიანებს. სწორედ ის ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა უნარებით არიან აღჭურვილი, ძალისხმევას არ იშურებენ, რომ თავიანთი მცირედი წვლილი შეიტანონ ქვეყნის წინსვლის პროცესში.

**– უმაღლესი განათლების მისაღებად არჩევანს საქართველოს უნივერსიტეტზე აკეთებ...**

– სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საქართველოს უნივერსიტეტში, სოციალური მეცნიერებების კუთხით, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. პირველივე კურსიდან მოვიხიბლე სასწავლო თემატიკით, ქვეყნებს შორის ურთიერთობით, ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიებით, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალიან აბსტრაქტულია, თუმცა ძალიან საინტერესო. სწორედ ეს თეორიები გაფიქრებს სახელმწიფოს მოწყობის სისტემებზე, სერვისებზე, ინსტიტუტებზე, განვითარების პერსპექტივებსა და რეფორმებზე, რომელთაც პრაქტიკული გამოყენება სწორედ პროფესიონალებმა უნდა მოუძებნონ. ამ შემართებით, უნივერსიტეტის პარალელურად, საერთაშორისო განათლების ამერიკულ საბჭოებში დავიწყე მუშაობა, სადაც პირველი შეხება მქონდა განათლების სფეროსთან, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ჩემი პროფესიული საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციაში World Vision გავაგრძელე.

**– ევროკავშირის გრანტის მოპოვების შემდეგ, სწავლას ესპანეთში, ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში (UAB) აგრძელებ. რა გზა გაიარე საქართველოდან ესპანეთამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ეს ქვეყანა, რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, სწავლის დასრულების შემდგომ მუშაობა გავაგრძელე ორგანიზაციაში World Vision, რომელიც, საქართველოს მასშტაბით, არაერთ პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ვესტუმრეთ სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან სოფელს, სადაც, ორგანიზაციის დახმარებით, საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო. უამრავი ადამიანი შეიკრიბა ჩვენს დასახვედრად, მათ შორის ბავშვებიც, რომელთა მომავალი განათლების სტატუსი სწორედ ამ სკოლაზე იყო დამოკიდებული. სანახაობა შთამბეჭდავი იყო. მაშინ გავაცნობიერე საერთაშორისო განვითარების, განსაკუთრებით კი განათლების მნიშვნელობა ქვეყნის წინსვლის საქმეში. არსებულმა გარემომ და სამუშაო გამოცდილებამ მიმახვედრა, რომ ეს ის საქმე იყო, რაც მომავალში მინდოდა მეკეთებინა, ხოლო სწავლა საერთაშორისო განვითარების კუთხით უნდა გამეგრძელებინა, კერძოდ კი – განათლების მენეჯმენტის სფეროში.

აქვე აღვნიშნავ, რომ სამუშაო გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დამწყები პროფესიონალებისთვის. მუშაობის პროცესში ნათლად ერკვევი შენს ძლიერ და სუსტ მხარეებში, პრაქტიკულად ახორციელებ თეორიას, ეცნობი სფეროს და აცნობიერებ საკუთარ ინტერესებს, რაც აზუსტებს სწავლის მომავალ სფეროს. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ჩემი ინტერესები, გადავწყვიტე განვითარების სექტორში არსებული აკადემიური და პრაქტიკული პროგრამების გარშემო საფუძვლიანი კვლევა ჩამეტარებინა. როგორც აღმოჩნდა, ქართულ უნივერსიტეტებში მსგავსი კურიკულუმის მიწოდება არ ხდება. თუმცა, ამ მხრივ, საკმაოდ წარმატებულია დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა. კვლევის პროცესში აღმოვაჩინე ერასმუს მუნდუსის პარტნიორობის პროგრამა, რომელიც ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული და საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ევროკავშირის სტიპენდიის დახმარებით, განათლება მიიღონ ევროპულ უნივერსიტეტებში. გავიარე საკონკურსო ეტაპი და მოვიპოვე ევროკავშირის გრანტი, რომელმაც საშუალება მომცა სწავლა ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში გამეგრძელებინა. იგი ერთ-ერთი მოწინავეა ევროპის უნივერსიტეტებს შორის, განათლების და საერთაშორისო განვითარების მიმართულებით.

ესპანეთში სწავლა წელს დავიწყე, მომავალ სემესტრს ნორვეგიაში, ოსლოს უნივერსიტეტში გავივლი, რომელსაც განათლების სფეროში უდიდესი გამოცდილება აქვს. პროფესიული მიმართულებით, სასწავლო გეგმა საშუალებას იძლევა, ზედმიწევნით შევისწავლოთ განათლების პოლიტიკა და მისი ზეგავლენა საერთაშორისო განვითარებაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რომელსაც განვითარებადმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი პატარა სახელმწიფოებმა, ფეხი სწრაფად უნდა აუწყონ. ეს თემატიკა საკმაოდ პრობლემატურია ჩვენს რეალობაში. ვიმედოვნებ, აქ მიღებული ცოდნა სასარგებლო იქნება ჩვენი განათლების სისტემის ხელშეწყობისა თუ გაუმჯობესებისთვის.

**– რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის. რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და, ნაწილობრივ მაინც, აკმაყოფილებს თუ არა სტიპენდია სტუდენტის მოთხოვნებს?**

– ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო ფილანტროპული ორგანიზაციები, საელჩოები, უნივერსიტეტები და ა.შ. აწესებენ საგრანტო პროგრამებს სტუდენტებისთვის. მათი უმეტესობა საკონკურსო ელემენტს მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურენცია საკმაოდ მაღალია. თუმცა, მონაწილეობის და საკუთარი ძალების მოსინჯვის შანსი ყველას ეძლევა. მსგავსი ინიციატივა აქვს, მაგალითად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს და ევროკავშირს, რომელთა პროგრამები სტუდენტებს სრული დაფინანსების სქემას სთავაზობენ. სტიპენდიის ფარგლებში, სრულად ფინანსდება სწავლის გადასახადი, ჯანმრთელობის დაზღვევა და ცხოვრების ხარჯი, რაც, დამეთანხმებით, არც თუ ურიგო შემოთავაზებაა იმ პირობებში, როცა განათლების მიღება სულ უფრო და უფრო ძვირი ჯდება. მსგავს კონკურსებში ყველა პროგრამას განსხვავებული კრიტერიუმი აქვს, თუმცა, კანდიდატის მოტივაცია, აკადემიური მოსწრება და სამომავლო ხედვა, მიღებული ცოდნის გამოყენების კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია.

**– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით? რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ქართულს შორის?**

– როდესაც ვსაუბრობთ ქართულ და დასავლურ უნივერსიტეტებზე, რამდენიმე საკითხი უნდა გავითვალისწინოთ. კურიკულუმის და აკადემიური პროგრამების კუთხით, ევროპულ უნივერსიტეტებს დიდი ხნის ისტორია და გამოცდილება აქვთ. ძალიან ბევრი პროფესიული მიმართულება, მათ შორის, ჩემი განხრაც, ჯერ კიდევ არ არის ათვისებული ქართულ განათლების ბაზარზე. ამასთანავე, დიდი სხვაობაა ტექნიკური და ინფრასტრუქტურული აღჭურვის მიმართულებითაც. როგორც წესი, უნივერსიტეტები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ბიბლიოთეკებით, სადაც ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები მუდმივ რეჟიმშია ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობას, რათა სტუდენტებმა თავი კომფორტულად იგრძნონ სასწავლო გარემოში. სასწავლო პროცესს რაც შეეხება, ლექციების მიმდინარეობა ძალიან საინტერესო, დატვირთული და, ამასთანავე, ინტერაქტიულია. სასწავლო პროგრამები, თეორიულთან ერთად, პრაქტიკულ ასპექტს მოიცავს, მაგალითად, სტაჟირების პროგრამას, საველე სამუშაოს ან კვლევას შესაბამის სფეროში. ასევე მნიშვნელოვანია გარემო, რომელშიც სტუდენტი იძენს ცოდნას. ჩემთან ერთად სალექციო კურსს ესწრება 20 სტუდენტი, 20 სხვადასხვა ქვეყნიდან. ამ შემთხვევაში, სტუდენტებს ცოდნის და გამოცდილების გაზიარების საშუალება აქვთ, რაც კიდევ უფრო აფართოებს განათლების საზღვრებს და მულტიკულტურულ, კოსმოპოლიტურ გარემოს ქმნის.

**– რა როლი უჭირავს ესპანეთში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?**

– ბიბლიოთეკები საუნივერსიტეტო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. როგორც წესი, ისინი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიებით, ჟურნალებით და ა.შ. ბიბლიოთეკებში კომფორტული სივრცეა, რათა სტუდენტმა მისთვის სასიამოვნო გარემოში შეძლოს მეცადინეობა. ჩემს უნივერსიტეტს 5 ბიბლიოთეკა აქვს. ყველა მიმართულებას, მაგალითად, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკის, იურიდიულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების დეპარტამენტებს ცალ-ცალკე ბიბლიოთეკები აქვთ, რომლებიც იმ კონკრეტულ სფეროში არსებულ ყველა ლიტერატურულ მასალასა და არტეფაქტებს აერთიანებს. ასევე, მათი სამუშაო გრაფიკი ძალიან მოსახერხებელია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკების უმეტესობა გვიან საღამომდე მუშაობს, ზოგიერთი – მთელი წლის განმავლობაში, 365 დღე, ხელმისაწვდომია.

**– მარიკა, ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო განათლების სამყაროში შესვლა არც ისე ადვილია. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევ საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილის მქონე ახალგაზრდებს?**

– თქვენი ზოგიერთი მკითხველი, ალბათ, ყოფილა სიტუაციაში, როდესაც უნივერსი-

## ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ტეტს ამთავრებ და სრული გაურკვევლობის შეგრძნება გეუფლება. რეალურად, სტუდენტების უმეტესობა ცდილობს მაშინვე განაგრძოს სწავლა შემდეგ ეტაპზე, თუმცა ძალიან ბევრ მათგანს ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული საკუთარი პროფესიის პრაქტიკული მხარე. ზოგი აბარებს იმიტომ, რომ სოციალური ზეწოლა მაღალია. ხშირად გაიგონებთ ფრაზებს – „ბარემ, ჩააბარე, დრო არ დაკარგო“ და ა.შ. ან სწავლას აგრძელებს იმიტომ, რომ სამსახურის შოვნის იმედი არ აქვს, ან, ვაჟების შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება პირდაპირპროპორციულად ნიშნავს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებას. აქ კვლავაც ვაწყდებით უამრავ პრობლემას, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის გაგრძელება, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, მოითხოვს სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებას და უნარებს, რომელიც სამუშაო გამოცდილების ხარჯზე უნდა დაგროვდეს. მნიშვნელოვანია, ზუსტად აღმოვაჩინოთ რა არის ის საქმე, რაც მომავალში გვინდა ვაკეთოთ, რის შემდეგაც ბევრად უფრო ადვილია სასწავლო პროგრამის მოძებნა, უნივერსიტეტების განსაზღვრა და ა.შ. არჩევანის გაკეთებისას მნიშვნელოვანია ზედმიწევნით კარგად ვიცოდეთ სასწავლო პროგრამის ამოცანები, მოთხოვნები, შედეგები, ფინანსური გადახდის სქემა და სხვ. ზოგიერთი სასწავლებელი დამატებით ითხოვს საკვალიფიკაციო ტესტების ჩაბარებას, რომელიც წინასწარ უნდა მომზადდეს. კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზეც ანალოგიური პრინციპით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ. ასევე, დღევანდელი ინტერნეტსამყარო გვაძლევს საშუალებას, მრავალგზის გადავამოწმოთ და მოვისმინოთ სხვა ადამიანების გამოცდილება და აზრი იმ დაწესებულებაზე, რომელზეც არჩევანს ვაკეთებთ. ეს ხერხი ნამდვილად ბევრ პრობლემას აარიდებს უცხოეთში სწავლის გაგრძელების მსურველებს.

**– როგორია ესპანური სტუდენტური ცხოვრება?**

– სტუდენტური ცხოვრება აქტიური და სასიამოვნოა. ესპანეთი შესაძლებლობების, ხელოვნების, ისტორიის, სიესტას, ფლამენგოს, გაუდის, პიკასოს და დალის ქვეყანაა, სადაც, დამეთანხმებით, რთულია მოწყენა. როდესაც სწავლით არ ვართ დაკავებული, ვცდილობთ უკეთ გავეცნოთ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს. ესპანელ თანატოლებთან ურთიერთობამ არაერთგზის მიჩვენა, რომ მითი ესპანელების და ქართველების ტიპოლოგიური მსგავსების შესახებ სულაც არ ყოფილა მითი. მსგავსებას ბევრ საკითხში ნახავთ, განსაკუთრებით – ტემპერამენტსა და ემოციურ გამოხატულებაში. დროის აღქმა და გაგება აბსოლუტურად იდენტური გვაქვს. აქაც, როგორც საქართველოში, 3 საათი 3:15 წუთს ნიშნავს.

**– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?**

– ამაზე ფიქრი რეალურად მაშინ დავიწყე, როდესაც ჩემი თვითმფრინავი საქართველოს საზღვრებს გასცდა. როდესაც სხვა ქვეყანაში ცხოვრობ, სამშობლოს მიმართ დამკვირვებლის პოზიცია გივითარდება და ნათლად ხედავ წინსვლას, პრობლემას და პერსპექტივას. გაქვს შედარებისა და ანალიზის საშუალება. აკვირდები სფეროებს, „სოციალურ კაპიტალს“, საზოგადოების ქცევას, მობილობას და ა.შ. არსებული პოზიციიდან ნათლად გავაცნობიერე, რომ პრობლემებისა და პერსპექტივის ფონზე, საქართველოში, ინტელექტუალური კაპიტალის მობილიზების საჭიროებაა. თუ ყველა, ვინც უცხოეთში იღებს განათლებას, უარს იტყვის საკუთარი ცოდნის რეალიზებაზე საქართველოში, ქვეყნის განვითარების პერსპექტივაც კარგავს თავის შანსებს. ამ მოცემულობის ფარგლებში, მინდა მიღებული ცოდნა სწორედ განვითარების სფეროს მოვახმარო საკუთარ ქვეყანაში. ამ ეტაპზე რთულია იმაზე საუბარი, რამდენად მომზადებული დახვდება საქართველოს შრომითი ბაზარი ჩემს დიპლომს, თუმცა, მთავარია სურვილი.

**– საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, რა მანძილი გვაქვს გასავლელი ევროპამდე?**

– ფრაზაში „მე ვარ ქართველი და ამასთანავე ვარ ევროპელი“ ნამდვილად დევს ლოგიკა. ვფიქრობ, ჩვენ იმაზე უფრო ახლოს ვართ ევროპასთან, ვიდრე წარმოგვიდგენია, თუმცა, ნამდვილად არის საკითხები, რომელიც დიდ მუშაობას, ღირებულებების გადაფასებას და გადახედვას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მიმღებლობის და ღიაობის გაზრდას. არ უნდა გვაშინებდეს განსხვავებული იდეები, რადგან მრავალფეროვნება სწორედ განსხვავებულობაშია. საზოგადოება მაშინ ხდება ჯანსაღი, როდესაც ახალ ღირებულებებს აღიქვამს არა როგორც ცალსახად ცუდს ან კარგს, არამედ როგორც, უბრალოდ, განსხვავებულს. სწორედ ესაა ევროპული საზოგადოების ხიბლი და მეამაყება, რომ ჩემს სამშობლოს აქვს სურვილი, გაიზიაროს ევროპული ოჯახის დიდი ტრადიცია.

ესაუბრა
**მაკა ყიფიანი**

## ინფორმაცია

# მინისტრმა სოფელ ლესიჭინეს რეაბილიტირებული სკოლა დაათვალიერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს სრულად რეაბილიტირებული სკოლა დაათვალიერა და მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეხვდა. სასწავლო კორპუსი, რომელიც წლების განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში იყო, სრულად განახლდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო. სკოლა ადაპტირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

ახალი სასწავლო წლისათვის სამეგრელოს რეგიონში 64 საჯარო სკოლას ჩაუტარდა საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. რიგ სკოლებში, წლის ბოლომდე, გაგრძელდება გათბობის სისტემების მოწესრიგება, სპორტული მოედნების, ექიმის კაბინეტების, სასკოლო ლაბორატორიების მოწყობა. ეს ისეთი სამუშაოებია, რომელიც სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის.






**თამარ სანიკიძე**: *„ახალი სასწავლო წელი ამ სოფელში ახალ სასწავლო გარემოში, ახალი ინფრასტრუქტურით დაიწყო. ვფიქრობ, ამ მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. თუ გადავხედავთ სამეგრელოს რეგიონს, აქ უკვე 64 სკოლას ჩაუტარდა საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუშაობა წლის განმავლობაში გაგრძელდება და წლის ბოლომდე, სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ რამდენიმე სკოლაში დასრულდება. ვფიქრობ, ნელ-ნელა მოვაგვარებთ ყველა იმ პრობლემას, რომელიც ინფრასრუქტურასთანაა დაკავშირებული და სასწავლო პროცესიც, შესაბამისად, უფრო ხარისხიანი გვექნება“.*

**გივი ლაშხია**, ლესიჭინეს თემის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი: *„მიმდინარე წელს სკოლა კაპიტალურად გაკეთდა – სკოლას აქვს პანდუსი, რამდენიმე დღეში გათბობის სისტემის დამონტაჟება დაიწყება, გვექნება თანამედროვე ტიპის საპირფარეშო; საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია უკვე შემოტანილია, დღე-დღეზე ავეჯიც შემოვა და ყველაფერი დალაგდება. ასე რომ, ჩვენი მოსწავლეები ნამდვილად 21-ე საუკუნის სკოლაში ისწავლიან“.*

# მოსწავლეებმა ვაჟას ნაწარმოებები გააცოცხლეს

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გრძელდება. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, პოეტისა და მწერლის მშობლიურ ჩარგალში, სასკოლო თეატრალური ფესტივალის მონაწილე მოსწავლეები ჩავიდნენ. მათ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში მოწყობილ სცენაზე ვაჟას ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლები წარმოადგინეს და თავიანთი ლექსებიც წაიკითხეს.

სასკოლო თეატრალური ფესტივალი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები დადგეს. კომისიამ სამი გამარჯვებული სპექტაკლი გამოავლინა, რომელთა ჩვენება მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა.

ჩარგალში მოსწავლეებმა ის სპექტაკლები ჩაიტანეს, რაც ფესტივალის ფარგლებში დაიდგა, მაგრამ დიდ სცენაზე არ გათამაშებულა. ღონისძიებას ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და პარლამენტის წევრი ანა მიროტაძე.

ჩარგალში მოსწავლეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩავიდნენ. დღის ბოლოს ვაჟა-ფშაველას საზოგადოებამ ყველა მათგანი სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა.

**ანი მიროტაძე**: *„ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს ბავშვები ჩარგალში ყოფილიყვნენ ჩვენი სტუმრები და ვაჟა-ფშაველას სტუმრები, ვინაიდან აქ ბევრად უკეთ ისმის ვაჟას სიტყვა, რომელსაც დღეს ეს არაჩვეულებრივი ბავშვები ახმოვანებენ“.*

**ლია გიგაური**: *„სწორედ ვაჟას პოეზიასთან ზიარებამ განაპირობა მათი ასეთი შემოქმედებითი აქტივობა. მინდა წარმატება ვუსურვო ყველა მონაწილეს. ამ პროექტმა გვიჩვენა, რომ ძალიან დიდია დაინტერესება ლიტერატურით, პოეზიით, მწერლობით. თითოეული მოსწავლის აქტივობა მნიშვნელოვნად განაპირობებს, მომავალში მათში ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას, პოეზიის სიყვარულს, სამშობლოს სიყვარულს“.*



გამოცდილება

# ენით ტკბობა უნდა ვისწავლოთ, რადგან სიტყვებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლია

ყველა ენას რაღაც საერთო აქვს, რადგან ყველა ენაშია ბუნებრივი მოვლენები, რომელსაც ისინი ასახავენ. ბუნება ხომ ფერებისა და ბგერების ლაბორატორიაა. მთავარია, ბუნებრივი მოვლენები სწორად აღვიქვათ, პატარა ბავშვს ვიზუალურად წარმოვუდგინოთ თითოეული ბგერის მნიშვნელობა. სიტყვის სწავლისას მან უნდა იცოდეს მისი მნიშვნელობა, წარმოიდგინოს იგი. ასეთი აღქმით ბავშვს სიტყვა არ დაავიწყდება და წერითაც გამართულად დაწერს. ამიტომაა რომ, კარგად გადმოცემული ბგერები, რითაც გაჯერებულია მოვლენები, ბავშვის მიერ კარგად აღიქმება.

ცოდნის წყაროს წარმოადგენს აღქმა. თავის შეგრძნებაში ბავშვი ჯერჯერობით ვერ არჩევს სუბიექტს ობიექტისგან, ვერ აღიქვამს საგანს. ამას რომ მივაღწიოთ, აუცილებელია მოსწავლეში აღვძრათ მოტივაცია, შევეცადოთ, მისი გონება იმ საგნისკენ წარვმართოთ, რომელიც მის გარეშე იმყოფება და დაშორებულია გონებას. საგანი გონებაზე „გამაღიზიანებელ" მოქმედებებს ახდენს და მასში შეგრძნებას იწვევს, იპყრობს ბავშვის ყურადღებას და ის აღიქვამს საგანს. პირველად, ბავშვი საგანზე უშუალო წარმოდგენას იღებს, მერე კი აღიქვამს მას. ეს უკვე ცარიელი ბგერა არაა, სავსეა შინაარსით. ვიზუალური საშუალებები გაგების გარეშე ბრმაა.

იმ ასაკში, როცა ბავშვი უცხოური ენის შესწავლას იწყებს, ბევრი რამ იცის მშობლიურ ენაზე და მისი დიდი სიზუსტით გადმოცემა შეუძლია. ახალი ენა რომ ისწავლო, ეს ნიშნავს, ისწავლო როგორ გარდაქმნა ბგერები, რომელთა მნიშვნელობა მშობლიურ ენაში ცნობილია, იმ ბგერებად, რომელთა მნიშვნელობა უცხოურ ენაში ბავშვისთვის უცნობია.

ფონეტიკის გავლის დროს, განვასხვავებ ბგერათა სისტემას ქართულ და რუსულ ენებში. თანამედროვე ქართულ ენაში 33 ასოა. თითოეულ ასოს შეესაბამება ბგერა, ზუსტად ამდენივე ასოა რუსულ ენაში, თუმცა რუსულ ენაში, ქართულისაგან განსხვავებით, ბგერები მეტია, ვიდრე ასოები. რუსულ ენაში არის ასოები „Ъ" „Ь", რომლებიც არავითარ ბგერას არ გამოსახავენ.

ა) ქართული ენის ხმოვნები – ა, ე, ი, ო, უ – თითქმის სრულად ემთხვევა რუსულ а, э, и, о, у-ს, მაგრამ ქართულში არ არის ხმოვანი Ы და აგრეთევე რთული ხმოვნები я, е, ё, ю;

ბ) ზოგიერთი თანხმოვნები ქართულსა და რუსულში თითქმის ემთხვევა ერთმანეთს – ბ-б; გ-г; დ-д; ვ-в; ზ-з; ლ-л; მ-м; ნ-н; ჟ-ж; რ-р; ს-с; შ-ш; ხ-х; ც-ц;

გ) არ შეიძლება ტოლობის ნიშანი დავსვათ რუსულ ასოებს – п, т, к და ქართულ პ, ტ, კ-ს შორის;

დ) ქართული ენის ცხრა თანხმოვანს – ფ, ქ, ღ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ – რუსულ ენაში ეკვივალენტი არ გააჩნია. ბგერა ფ ახლოსაა რუსულ ბგერასთან П. უნდა გვახსოვდეს, რომ ფ-ს საშუალებით წარმოითქმის რუსული ბგერა ф. ქართულ ენაში ქ-ს წარმოთქმა, ბევრ რამეში, რუსულ ენაში к ბგერის წარმოთქმას გვაგონებს, თუმცა ქართულ ენაში ბგერა ქ უფრო სუსტად წარმოითქმის, ვიდრე ბგერა к. ქართული ენის ბგერა г რუსულ ბგერა გ-ს გვაგონებს შემდეგ სიტყვებში: бог, господи. რთული ბგერა ძ შეესაბამება ორ რუსულ ბგერას – д+з, რომელიც ერთად წარმოითქმის, როგორც ერთი ბგერა. რთული ბგერა ჯ რუსული ენის ორ ბგერას – д+ж – შეესაბამება, რომლებიც ასევე ერთად წარმოითქმის, როგორც ერთი ბგერა. ბგერა ჰ გვაგონებს უკრაინულ ენაში г ბგერის წარმოთქმას: говорит-hоворит.

სიტყვები ლაპარაკობენ არა მარტო მნიშვნელობით, არამედ ხმოვანი და თანხმოვანი ბგერებით. ვკითხულობ ტიუტჩევის ლექსს, სადაც პოეტი ბგერების საშუალებით გადმოსცემს ბუნებრივ მოვლენას:

„Люблю грозу в начале мая
Когда весенний первый гром
Как бы резвяся и играя
Грохочет в небе голубом."

მე ვამახვილებ ყურადღებას ბგერა г-ს წარმოთქმაზე მოცემულ ტექსტში – ის წარმოითქმის მყისიერად, თითქოს აფეთქებით, ისე რომ, ამ აფეთქებაში გაზაფხულის ჭექა-ქუხილი იგრძნობა.

პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი, у ბგერის წარმოთქმით, მოსალოდნელ საშიშროებას გვაგრძნობინებს. „Железная дорога" – „Быстро лечу я по рельсам чугунным, думаю думу свою".

## აქტივობა, რომელსაც ვიყენებ ფონეტიკის გავლის დროს

ბავშვმა რომ ბგერას ყურადღება მიაპყროს, წარმოვთქვამ ხან ხმამაღლა, ხან წყნარად, ხან სიმღერით, ხან სიცილით, ყოველთვის სხვადასხვაგვარად, ცოცხლად და მხიარულად, რომ ბავშვმა იგრძნოს ეს ბგერა. ბგერა ზერგნავს (ურტყამს), სული ცოცხლდება.

ბგერების აღქმისას ვიყენებ ს. მარშაკის ლექსს „ყველაფერზე ამქვეყნად":

Аист жил у нас на крыше,
**А** в подполье жили мыши.
Бегемот разинул рот –
**Б**улку просит бегемот.
Воробей влетел в окно,
**В** кладовой клюет пшено.
Гриб растет среди дорожки,
**Г**олова на тонкой ножке.
Дятел жил в дупле пустом,
**Д**уб долбил, как долотом.
Ель на ёжика похожа:
**Ё**ж в иголках, елка тоже.
Жук упал и встать не может,
**Ж**дет он, кто ему поможет.
Звезды видели мы днем
**З**а рекою над Кремлем.
Иней лег на ветви ели,
**И**глы за ночь побелели.
Кот ловил мышей и крыс,
**К**ролик лист капустный грыз.
Лодки по морю плывут,
**Л**юди веслами гребут.
Мед в лесу медведь нашел:
**М**ало меда, много пчел.
Носорог бодает рогом –
**Н**е шутите с носорогом.
Ослик был сегодня зол:
**О**н узнал, что он – осел.
Панцирь носит черепаха,
**П**рячет голову от страха.
Роет землю серый крот –
**Р**азоряет огород.
Спит спокойно старый слон,
**С**тоя спать умеет он.
Таракан живет за печкой,
**Т**о-то теплое местечко.
Ученик учил уроки –
**У** него в чернилах щеки.
Флот плывет к родной земле,
**Ф**лаг на каждом корабле.
Ходит по лесу хорек –
**Х**ищный маленький зверек.
Цапля важная, носатая
**Ц**елый день стоит, как статуя.
Часовщик прищурил глаз:
**Ч**инит часики для нас.
Школьник, школьник, ты – силач:
**Ш**ар земной несешь, как мяч.
Щеткой чищу я щенка,
**Щ**екочу ему бока.
Эта кнопка и шнурок –
**Э**лектрический звонок.
Юнга, будущий матрос,
**Ю**жных рыбок нам привез.
Ягод нет кислее клюквы,
**Я** на память знаю буквы.

ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ ბავშვები წარმოადგენენ ნახატებს, უკეთ იმახსოვრებენ ბგერებსა და იმ სიტყვებს, რომლებშიც ეს ბგერები გვხვდება. ვიზუალურად წარმოსახავენ ბგერას, რომელსაც მრავალ მნიშვნელობას ანიჭებენ. შემდეგ კლასში ვაწყობ თამაშს, ვინ უფრო კარგად, კინესტიკურად წარმოადგენს ამ ბგერას. უნდა წაიკითხონ ლექსი, სადაც ამ ბგერისაგან შედგენილი სიტყვა გვხვდება. კლასი ცოცხლდება და ჩემი მუშაობით კმაყოფილი ვრჩები.

**ხათუნა ყალიჩავა**
*მუხურის თემის №2 საჯარო სკოლის რუსული ენის სერტიფიცირებული მასწავლებელი*

ინფორმაცია

# მანდატურმა კიდევ ერთი ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა



27 ოქტომბერს, მანდატურმა ხათუნა ხუბეჟოვმა 49-ე საჯარო სკოლის პირველკლასელი მოსწავლე გადაარჩინა. სადილის დროს, ბავშვს საკვები გადასცდა, რის შედეგადაც სუნთქვის პრობლემები შეექმნა. თუმცა, შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მისვლამდე, ბავშვს პირველადი სამედიცინო დახმარება მანდატურმა გაუწია. შედეგად, მოსწავლე სიკვდილს გადაურჩა.

დროული რეაგირებისა და მოსწავლის სიცოცხლის გადარჩენისათვის, სკოლის დირექტორმა და პედაგოგმა მანდატურს მადლობა გადაუხადეს.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებს გავლილი აქვთ როგორც საგანგებო სიტუაციების, ასევე პირველადი დახმარების გაწევის კურსები. მანდატურ ხათუნა ხუბეჟოვს, სწორედ მიღებული ცოდნა დაეხმარა მოსწავლის გადარჩენაში.

მანდატურის სამსახური მადლობას უცხადებს ხათუნა ხუბეჟოვს სამსახურეობრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის.

# შეხვედრები გერმანიაში

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია გერმანიაში იმყოფება. დელეგაციის წევრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის ხელმძღვანელობით, ბავარიის განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სამინისტროში სახელმწიფო მდივან გეორგ აიზენრაიხს შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრაზე ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა პროფესიული განათლების მხარდაჭერისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამა განიხილეს. სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში, ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, კერძოდ, მხარდაჭერა პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით და მეორე – საქართველოში დუალური პროფესიული განათლების ელემენტების დანერგვის ხელშეწყობა.

მხარეთა მოსაზრებით, საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმა სრულად შეესაბამება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს. ექსპერტთა განცხადებით, მოდერნიზებული პროფესიული განათლების ქართული სისტემა თავსებადია გერმანიის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო პროგრამებთან და მომავალი თანამშრომლობისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

ბავარიის გამოცდილებით, პროფესიული განათლება ეკონომიკის წარმატების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრაა. ასევე დაგეგმილია ვიზიტები წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შტუტგარტის განათლების სამინისტროში, გერმანიის ფედერაციულ ინსტიტუტებსა და ფედერალურ დონეზე ეკონომიკის განვითარების სამინისტროში.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი; გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლები: თამარ ქიტიაშვილი, ვერნერ ქერნი; ბავარიის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა განვითარების დეპარტამენტის უფროსი კლაუს პომერი; პროფესიული განათლების ექსპერტები.

ბავარიისა და საქართველოს განათლების სამინისტროების წარმომადგენელთა შეხვედრას წინ უძღოდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქართული დელეგაციის სასწავლო ტური პარტნიორ კოლეჯებში – ანსბახსა და რეგენსბურგში, ასევე განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სამინისტროში და ხარისხისა და კვლევის ცენტრში. აღნიშნული პროექტი გულისხმობს პროფესიული განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე ქართველი და ბავარიელი პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და მასწავლებლების თანამშრომლობის ხელშეწყობას. დელეგაციის წევრები გაეცნენ მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების მოდელს გერმანიაში და ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მასწავლებელთა ტრენინგის პროცესს.

ინფორმაცია

# თბილისის ყველა ბაღში სასკოლო მზაობის პროგრამა ამოქმედდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინიძე და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა თბილისის 63-ე ბაგა-ბაღში სასკოლო მზაობის პროგრამის მიმდინარეობას გაეცნენ.

სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა, რამდენიმე დღეა თბილისის ყველა ბაღში ამოქმედდა. თამაშით სწავლების მეთოდიკის საშუალებით, პროგრამა 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას ითვალისწინებს – 30 კვირის განმავლობაში, დღეში სამსაათიანი დატვირთვა საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში. ამ პროგრამისთვის სასწავლო ოთახები განსხვავებულად მოეწყო, სივრცეებად დაიყო ჯგუფები და შეიქმნა სხვადასხვა აქტივობის ცენტრები. თითოეული მათგანი შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალით აღიჭურვა.

სასკოლო მზაობის პროგრამა ხელს უწყობს: ბავშვის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას; მოტორული, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი უნარების გამომუშავებას; კომუნიკაციისა და მეტყველების განვითარებას. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის სათანადოდ მომზადებას პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის. ეხმარება თითოეულ მათგანს, მაქსიმალურად განივითარონ პოტენციალი და ჩამოუყალიბდეთ საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისა და წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის.

ბავშვები, რომლებიც ბაღში არ დადიან, სასკოლო მზაობის პროგრამას სკოლებში სპეციალურად გახსნილ ჯგუფებში გაივლიან. მსურველთა რეგისტრაცია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე – kids.org.ge – უკვე დაიწყო და 2 ნოემბრამდე გაგრძელდება.



# შეხვედრა მარტვილელ პედაგოგებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები თბილისისა და რეგიონების პედაგოგებთან შეხვედრებს აგრძელებენ. ამჯერად შეხვედრა მარტვილის რაიონის სკოლის დირექტორებთან და პედაგოგებთან გაიმართა.

მინისტრმა მოკლედ ისაუბრა ბოლო პერიოდის ძირითად სიახლეებზე და ამ მიმართულებით დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა. გამომდინარე იქიდან, რომ პედაგოგები როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში სრულ ინფორმაციას ფლობენ ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებზე და ჩართულნი არიან ახალ პროექტებში, ძირითადი აქცენტი მაინც ლოკალურად არსებულ პრობლემებზე, კონკრეტული სკოლების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე გაკეთდა, რომელთა მოგვარებაშიც მათ სამინისტროს თანადგომა ესაჭიროებათ. მასწავლებლებთან ანალოგიური შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

**თამარ სანიკიძე**: *„შევხვდით მარტვილის რაიონის პედაგოგებს, წარმომადგენლები რაიონის ყველა სკოლიდან იყვნენ. ვაგრძელებთ მასწავლებლებთან კომუნიკაციას, რომ დავრწმუნდეთ, ახალ სქემაზე მუშაობა გეგმაზომიერად მიდის და ყველგან გადადგმულია ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ სისტემის ეფექტურად ამუშავებას.*

*გარდა ამისა, საშუალება გვქონდა, უშუალოდ გვესაუბრა პედაგოგებთან იმ მდგომარეობაზე, თუნდაც პრობლემებზე, რომლებიც დღეს არის საჯარო სკოლებში. ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვისაუბრეთ. ვფიქრობ, რომ 2015-16 წლების გეგმა მათთვის სავსებით მისაღებია. საუბარია რამდენიმე სკოლის დეოპტიმიზაციაზე, ეს საკითხიც განვიხილეთ. ნამდვილად მნიშვნელოვანია, როდესაც ინფორმაციას პირველი წყაროდან იღებ“.*





**მადონა მანტუა**, მარტვილის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი: *„ნამდვილად დროული და აუცილებელი იყო მინისტრის სტუმრობა. ულრმესი მადლობა მას იმისთვის, რომ მოიცალა და ასეთ შორეულ, განაპირა რაიონში შეძლო კომპეტენტურად დაეკვალიანებინა მასწავლებლები ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც დღევანდელი სკოლის წინაშე დგას. ვფიქრობ, რომ აქ დამსწრე ყველა მასწავლებელმა მიიღო ზუსტი პასუხი ყველა მათთვის მნიშვნელოვან შეკითხვაზე“.*

**შორენა ახვლედიანი**, ინჩხურის საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩემი სკოლის პედაგოგები არ იჯერებდნენ, რომ ისეთ პატარა რაიონში, როგორიც მარტვილია, მინისტრი ჩამოდის და აქვს სურვილი, შეხვდეს მასწავლებლებს და უშუალოდ მათგან მოისმინოს პრობლემები, რაც მათ სკოლაში აქვთ. ასეთი შეხვედრები სტიმულს აძლევს მასწავლებელს და ზოგადად სკოლას, რომ მომავალში მეტი გააკეთონ“.*

# საგრანტო კონკურსი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“

გაიმართა შეხვედრა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს პროფესიული განათლების პროექტის საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ ნახევარფინალისტებთან. შეხვედრა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ გახსნა. მოწვეულ სტუმრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა კატერინ კლემენტიმ მიმართეს.

პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო კონკურსის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასთან ან არსებული პროგრამების განახლებასთან დაკავშირებული წინადადებების დაფინანსება საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში.

საგრანტო კონკურსის სრული ბიუჯეტია 12 მილიონი აშშ დოლარი. თითოეული გრანტის მოცულობა შესაძლოა იყოს 300,000 აშშ დოლარიდან 3 მილიონ აშშ დოლარამდე.

საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე 70 განაცხადი შემოვიდა. დამოუკიდებელი შეფასების კომისიამ და საერთაშორისო ექსპერტებმა, 2015 წლის ოქტომბერში, განიხილეს და შეაფასეს შემოსული განაცხადები. კომისიამ 29 ნახევარფინალისტი განმცხადებელი გამოავლინა.

ძირითადად, განაცხადები წარმოადგინეს საგანმანათლებლო სექტორის (53%), კერძო სექტორისა (23%) და არასამთავრობო ორგანიზაციების/ასოციაციების წარმომადგენლებმა (26%). განაცხადების უმეტესობა, 26% და 23% წარმოდგენილია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში, მას მოსდევს: საინჟინრო (20%), საინფორმაციო ტექნოლოგიები (13%), ტექნოლოგიური (11%) და საბუნებისმეტყველო (7%) სექტორი.

**ქეთევან ნატრიაშვილი**: *„ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, კომპაქტის 12-მილიონიანი საგრანტო კომპონენტი პროფესიულ განათლებაზეა მიმართული. ამ კონკურსის ფარგლებში, პირობები მორგებულია პროფესიული განათლების რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიაზე, რომლის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, რომლებიც დასაქმდებიან ქართულ შრომით ბაზარზე და გააუმჯობესებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხს ჩვენს ქვეყანაში. ეს კონკურსი ძალიან მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ორიენტირებულია კერძო სექტორის ჩართულობაზე პროფესიულ განათლებაში. მან აჩვენა, რომ დღეს ძალიან მაღალია კერძო სექტორის დაინტერესება პროფესიული განათლებით, რაც უკვე თანადაფინანსებაშიც გამოიხატება. მნიშვნელოვანია ასევე, საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესება პროფესიული განათლებით. ამ კონკურსში გამოვლინდა, რომ ძალიან ბევრ აპლიკანტს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი, რომელთაც სურთ იმუშაონ საქართველოში.*

*ვფიქრობ, ეს კომპონენტი დაგვეხმარება, გავაუმჯობესოთ პროფესიული განათლების ხარისხი ტექნიკური, საინჟინრო, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებებით, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების პროგრამების ამოქმედება ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სისტემებში“.*

**მაგდა მაღრაძე**: *„ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა – საქართველომ, დღეს, პროფესიული განათლების განვითარების კონკურსში მეორე ეტაპზე გადასული აპლიკანტები დაასახელა. დღევანდელ შეხვედრაზე მათ დეტალურად უნდა გავაცნოთ, რა მოთხოვნები გვაქვს მეორე ეტაპზე“.*



სპორტი

# ქართული სპორტის მუზეუმი

## იშვიათი ექსპონატებითა და მდიდარი ტრადიციით



20 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართული სპორტის მუზეუმის 50 წლის იუბილე აღნიშნეს, რომელსაც ბევრი სტუმარი დაესწრო. არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ამ მუზეუმმა ბევრი გაჭირვება გამოიარა, თუმცა უმნიშვნელოვანეს ექსპონატებს მოუყარა თავი. **დავით ციმაკურიძის** პირველი ოლიმპიური ოქროს მედლიდან დაწყებული, რას აღარ ნახავთ იქ: „კოლუმბის კარაველას“ ულამაზესი თასი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 1973 წელს მოიპოვეს ესპანეთის ქალაქ ულევაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში და მათ მიერვე, ისევ ესპანეთში, 1977 წელს, დასაკუთრებული „კოსტა ბლანკას“ ტროფეი; კალათბურთელთა მიერ მოპოვებული ათასნაირი ჯილდო და თასი, **ნინო დუმბაძის** ბადრო, **ქეთევან ლოსაბერიძის** ისარი, რომლითაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, **ზაზა ფაჩულიას** და **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** მაისურები, **გიორგი ასანიძის, გიორგი კანდელაკის** თუ სხვა ცნობილ სპორტსმენთა პირადი ნივთები. სხვადასხვა წლებში მუზეუმს დიდძალი ექსპონატი შესწირეს **ნინო სალუქვაძემ, კახი კახიაშვილმა** და სხვებმა. აქვეა გამოფენილი ქართველ მოჭადრაკეთა მიერ მოპოვებული უამრავი თასი თუ მედალი, სპორტის სხვადასხვა სახეობებში დამსახურებული ჯილდოები. თუმცა, მედლების გარდა, აქ ნახავთ სამკერდე ნიშნების მდიდარ კოლექციას, ახლო თუ შორეული წარსულის არაერთი გამოჩენილი სპორტსმენის პირად ნივთებს, აგრეთვე დაცულია უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენების ამსახველი პერიოდული პრესა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმში დაცულია ქართული სპორტის ისტორია, რადგან აქ თავმოყრილია პირველი სახალხო სპორტული ორგანიზაციის – „შევარდენის“ მთელი ისტორია მათივე პირველი ჟურნალიდან და ემბლემიდან დაწყებული. მუზეუმმა იუბილეზეც ბევრი საჩუქარი მიიღო დღეს მოქმედი ძიუდოისტებისა და სხვადასხვა სპორტული ფედერაციებისგან.

ერთი სიტყვით, სპორტული დიდების მუზეუმში ბევრი, ძალზე ბევრი ექსპონატია დაცული საიმისოდ, რომ იქ თვალის გასახარელი არა მარტო უფროსებმა, არამედ პატარებმაც ნახონ. ჩვენ თუ გვკითხავთ, სკოლებმა ხშირად უნდა ატარონ იქ მოზარდები, რათა გააცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მისი კულტურის ერთი ნაწილი. საბედნიეროდ, ასეთი ექსკურსიების პრეცედენტი არცთუ იშვიათია და ამაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ.

მუზეუმი დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროშია განთავსებული. 1965 წლის 14 აგვისტოს, მაშინდელი კონსტიტუციის ქუჩაზე, იმდროინდელ საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან დაწყებული, გზა ნამდვილად არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. პირიქით – ეკლიანიც შეიძლება ეწოდოს, რადგან იყო გადასახლების და შენობიდან შენობაში მოგზაურობის ეპიზოდები, იყო ბევრი გაჭირვება – განსაკუთრებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა უშუქობას და სიცივეს თავი რომ დავანებოთ, მუზეუმი რამდენჯერმე გაიქურდა და უმნიშვნელოვანესი ექსპონატები დაიკარგა. ასევე იყო ბრძოლა დაფინანსების, სტატუსის მოსაპოვებლად, იყო ბრძოლა არსებობისთვის, ბოლოს კი, ამ ათიოდე წლის წინ, გაუქმების საფრთხეც დაემუქრა. ეს ეპიზოდი საზეიმო ღონისძიებაზეც გაიხსენა მუზეუმის ერთგულმა მცველმა **ლილი ლომსაძემ**, ვინც დაარსების პირველი დღიდანაა მუზეუმში, ლომის წილი შეიტანა მის დაარსებაში, ექსპონატების მოძიებაში და არაერთი საყურადღებო ტრადიციაც დაამკვიდრა (მაგალითად, გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნის დღე, რაც ყოველწლიურად აღინიშნება). როგორც მან განაცხადა, მაშინ კიდევ ერთხელ ჩაიცვა რკინის ქალამნები და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მაშინდელ მინისტრ **ნიკა რურუას** მიადგა დახმარების თხოვნით. საბედნიეროდ, რურუა ჩვეულებრივი მოკვდავი მინისტრი აღმოჩნდა და არა ტრადიციული ჩინოვნიკი, ვინც პირადად ესტუმრა მუზეუმს, დაათვალიერა და მაშინვე გასცა სიტყვიერი განკარგულება (რაც მერე სათანადო ბრძანებითაც გაამყარა) დახმარების გაწევის შესახებ. ისევ „შევარდენმა“ გადაგვარჩინა, მისმა მდიდარმა ისტორიამ, რამაც ნიკა რურუაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო, განაცხადა ქალბატონმა ლილიმ.

50-წლოვანი იუბილე საინტერესო სტუმრებით დატვირთული აღმოჩნდა, მათ შორის თბილისის სკოლებიც იყვნენ. მით უფრო, მუზეუმს მემორანდუმი აქვს გაფორმებული რამდენიმესთან. ღონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ: „ბაქსვუდის“ სკოლა, დედაქალაქის 207-ე საჯარო სკოლა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლო სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, რომლებსაც ჯილდოები გადაეცათ. „ბაქსვუდის“ სკოლის მოსწავლეებმა მუზეუმისა და ქართული სპორტის ისტორიაზე მათ მიერვე მომზადებული დოკუმენტური ფილმიც წარმოადგინეს. 207-ე სკოლა ქუჩის ფეხბურთში გამარჯვებისთვის დააჯილდოვეს.

ზემოთ სპორტის მუზეუმში მოსწავლეების ექსკურსიაზე ვსაუბრობდით და იუბილედან რამდენიმე დღეში, მუზეუმს სწორედ 207-ე სკოლიდან ეწვივნენ სტუმრები – მეოთხეკლასელები სპორტის მასწავლებელ **მზევინარ სულხანიშვილისა** და კლასის დამრიგებელ **ნინო გოგოლიშვილის** ხელმძღვანელობით. პატარებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს იქ გამოფენილი ექსპონატები. ზოგადად, იმ მედლებმა, ქართული სპორტის ისტორიამ მათი დიდი ინტერესი გამოიწვია.

# ქუჩის ფეხბურთი საპილოტედ

დასრულდა საბავშვო ტურნირი ქუჩის ფეხბურთში, რომელშიც თბილისის 207-ე სკოლამ გაიმარჯვა. ფინალში მათ მე-60 საჯარო სკოლას დაძაბულ პაექრობაში 2:1 მოუგეს. ჩემპიონებს ნახევარფინალი კიდევ უფრო დაძაბული ჰქონდათ ტაბახმელას 213-ე სკოლის გუნდთან, სადაც ძირითადი დრო ფრედ – 2:2 დასრულდა და პენალტებში იმარჯვეს. გუნდის შემადგენლობაში **გიორგი სილაგავა, ემირ კირვალიძე, ვალერი ქურთაული** და **სპარტაკ ლაგვილავა** შედიოდნენ, სპორტის მასწავლებელი – **გიორგი კალანდაძე**.

ეს ტურნირი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული, იდეა კი ქუჩის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ეკუთვნის. სწორედ მისი პარტნიორია ეს ცენტრი. ამ თანამშრომლობამ კი შედეგად აღნიშნული ტურნირი მოიტანა, რომელიც წლეულს საპილოტე ხასიათისაა და ქვეყნის სამ ქალაქში ჩატარდა – თბილისში, ზუგდიდსა და თელავში. ტურნირი მიზნად ისახავს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, ქუჩიდან მათ ჩამოცილებას და სპორტში ჩაბმას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. იმედია, პროექტი მომავალშიც გაგრძელდება, რაც ჩვენი მოზარდებისთვის კარგი წამახალისებელი საშუალება იქნება სპორტში, ფეხბურთში ჩაბმისთვის.

თბილისის ტურში 32 გუნდი ჩაება. ფინალურ შეხვედრას საპატიო სტუმრებიც დაესწრნენ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**, მინისტრის მოადგილე **რევაზ ჯაველიძე**, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი**, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია გაბელაია** და სხვები, რომლებმაც მედალოსნები თასებითა და მედლებით დააჯილდოვეს.



*რუბრიკას უძღვება* ირაკლი თავაძე




4 ლარი

## მასწავლებლის სამუშაო რვეული

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.



6 ლარი

## დამრიგებლის პორტფოლიო

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.



განახლებული

## ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*




## მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



6 ლარი

## კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.



განახლებული
5,50 ლარი

## მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მხატვრული ლიტერატურა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



*თითო ტომის ფასი 14 ლარი*






წიგნი I
ქველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



*სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

10 ლარი



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევადისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

**თითოეულის ფასი – 7,30 ლარი**



## თამაზ ვასაძე
### კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ფასი – 15 ლარი

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი
### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

*სერიიდან ინტელექტი სკოლას*

## საყმაწვილო ენციკლოპედია

რა არის რა

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის
*ფორმატი A2 (42X59.4 სმ)*

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

### მაღალი კლასებისთვის
*ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)*

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

### რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

# „დედა ენის“ შემოქმედი

1840 წლის 27 ოქტომბერს ქართლის თვალწარმტაცმა სოფელმა ვარიანმა საქართველოს იაკობ გოგებაშვილი აჩუქა. მას შემდეგ 175 წელი გავიდა. დრომ ფერი ვერ უცვალა მის შემოქმედებით საუნჯეს, მის მოძღვრებას. პირიქით, მზესავით კიდევ უფრო მეტ ელვარებას ჰფენს, მარადიული სიცოცხლისა და მიმზიდველობის ძალას ანიჭებს.

*„მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობმა ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსულ მტერს.“* – ასე მაღალ შეფასებას აძლევდა აკაკი წერეთელი იაკობის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე.

გორი, თბილისი, კიევი – ეს იყო ვარიანელი ჭაბუკის განათლების აღმავალი საფეხურები. ხოლო 1863 წელი – სამასწავლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ხანგრძლივი, ძნელად სავალი და უაღრესად ნაყოფიერი გზის დასაწყისი.

*„ხალხის შვილი, შუა ქართლში დაბადებული და ხალხის კალთაში აღზრდილი“ იაკობი სამოღვაწეო ასპარეზზე ღრმად გააზრებული, ნათელი პროგრამით გამოვიდა. სამშობლოს სამსახური უმაღლესი და უწმინდესი იდეალი იყო მისთვის. 1873 წელს მან ცეცხლს მისცა სემინარიის ატესტატი, აკადემიის მოწმობა და სხვა საბუთები, რომ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულიყო. მთელი სიცოცხლე, ძალა და ენერგია ქვეყნის ნათელი მერმისისათვის მოეხმარებინა: „ყველაფერი ხალხმა მომცა, ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო“ – იტყოდა ხოლმე დიდი პედაგოგი. აღზრდის ძირითად მიზნად კი მას ყოველმხრივ განათლებული, „ჰარმონიულად განვითარებული“, ახალი ტიპის ქართველის აღზრდა-ფორმირება მიაჩნდა. მანვე მოგვცა პატრიოტიზმის კლასიკური ფორმულირება: „პატრიოტი ჰქვია მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება. ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის. ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.*

როგორ ძალუმად ეხმაურება დღევანდელობას შეგონება იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხს დასავლეთიდან მიეღო განათლება და გადმოეტანა საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილება. თუმცა აუცილებლად მიაჩნდა: *„წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებებში ავირჩიოთ სათესად წმინდა გონების, ზნეობის და ეკონომიური სფეროებითგან“.*

იაკობ გოგებაშვილმა ყოველმხრივ დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობა. 24 წლის ასაკში შეადგინა დედაენის ახალი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც 1865 წელს გამოვიდა. პროფესორ ვალერიან რამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, წერა-კითხვისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით, დაეფუძნა დიდაქტიკის პრინციპებს, რაც იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდა.

1868 წელს იგი გამოსცემს ენციკლოპედიურ სახელმძღვანელოს „ბუნების კარი“, რომელმაც განუსაზღვრელი როლი შეასრულა მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში, ეროვნული თვითშეგნების გამომუშავებაში, მშობლიური ენის გავრცელებაში, ერის განათლებასა და კონსოლიდაციაში. 1876 წელს კი გამოსცა თავისი უკვდავი ქმნილება, ანბანის სახელმძღვანელოების შედევრი – „დედა ენა“. ქართულმა გულმა და სულმა, მშობლიური ხალხისა და ბავშვების სიყვარულმა, ფართო განათლებამ და პედაგოგიურმა გულმოდგინებამ, ქართული ენის ბუნების საიდუმლოების და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნამ, მხატვრულმა ნიჭმა და ერუდიციამ მისცა საშუალება, პროგრესულ იდეებზე შეექმნა ხელიხელსაგოგმანებელი ანბანის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომელიც დღესაც და ნორჩების სულიერი ფორმირების დაუშრეტელ წყაროდ მიიჩნევა. გაზაფხულის ლურჯთვალა იით დაიწყო „დედა ენის“ ავტორმა ბავშვთა აღზრდა, რომ ზრდადამთავრებულებს მხოლოდ ია-ვარდი ეთესათ ცხოვრების გზაზე. „დედა ენაში“უდიდესი ოსტატობით, გასაოცარი ცოდნითა და სიბრძნით არის განხორციელებული პედაგოგიურ-მეთოდური და დიდაქტიკური პრინციპები.

როცა „დედა ენას“ უკვირდები, გაოცებული რჩები, რა მშვენივრად ჩაუქსოვია უცნობი მასალა ნაცნობში, როგორ მოხერხებულად და თავისუფლად ითვისებს მოსწავლე ნაცნობიდან უცნობს, მარტივიდან რთულს და კერძოდან ზოგადს. ეს არა მარტო წერა-კითხვის სწორუპოვარი სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედების და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების საუნჯე. სახელოვანი მამულიშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების სათანადო ნიმუშებს აგროვებდა და ხალხსვე უბრუნებდა. ხვეწდა, აშალაშინებდა და ამუშავებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ისე შეჰქონდა თავის „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“.

მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის, ამიტომ მან პირველმა შეიტანა სახელმძღვანელოებში როგორც სხვისი, ისე საკუთარი პროზისა და პოეზიის ნიმუშები. *„ეს ჯადო წიგნი, წიგნი კი არა ენციკლოპედია, შედგენილია ნაირგვარი მასალით,* – წერს მწერალი, აკადემიკოსი, დემნა შენგელაია, – *ყოველი ფურცელი გამთბარია შემოქმედების ცოცხალი სუნთქვით და ისე მჭიდროდაა შეკრული, რომ მონოლითურ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ. ტოლსტოი და განუმეროებელი ქართული ზეპირსიტყვიერება, ისე ლოგიკურად განაგრძობენ ერთი მეორეს, ისე ხმატკბილად აჟღერებულან, რომ ერთი საკვირველი სიმფონია იქმნება“.*

სწორედ ამის გამო შეითვისა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ამიტომაც დაუდგა „დედა ენას“ ძეგლი.

„დედა ენის“ ყოველ ახალ გამოცემას განუსაზღვრელი სიხარული შეჰქონდა არა მარტო საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველის ოჯახში, არამედ საქართველოს გარეთ მყოფ ჩვენ თანამემამულეთა შორისაც. დიდი პედაგოგი ანგარიშს უწევდა ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა თავისებურებებს. როცა „დედა ენას“ ადგენდა მუსლიმანი მოსწავლეებისათვის, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მასში. იგი წერდა: *„ბარე ცხრა გამოცემა დაიბეჭდა და გაიყიდა პატარა „დედა ენისა“. არცერთში აღარ ყოფილა არც ჯვარი, არც ეკლესია, არც სხვა კუთვნილება ჩვენ სარწმუნოებისა... ჩვენ ამაზე მეტიც ჩავიდინეთ ამავე მიზნით,* – განაგრძობს საუბარს იაკობი, – *თვით ჩვენის ზოგის პოეტის ლექსში ქრისტიანული ტერმინები შევცვალეთ საერთო ათეისტურ ტერმინებზე. მაგალითად, რაფიელ ერისთავი ლექსს „გუთანი“ ასე იწყებს: „გუთანო, ქრისტეს ნაკურთხო“. ჩვენ ასე შევცვალეთ: „გუთანო, უფლის ნაკურთხო“, რადგანაც სიტყვა უფალი საერთო სათაყვენებელია ყველა სარწმუნოებისათვის. ამ სახით შეცვლილი „დედა ენა“ ცალკე გამოსცა წერა-კითხვის საზოგადოებამ რიცხვით 6000 და ნაწილი გაიგზავნა ფერეიდანში. სხვა ეგზემპლარები დანიშნულია გამაჰმადიანებული ქართველებისათვის“.*

ამიტომაც იყო, რომ უძვირფასეს განძს – „დედა ენას“ აღტაცებით კითხულობდნენ სტამბულსა და მცირე აზიაში მცხოვრები ქართველები. მათთვის სპეციალურად იბეჭდებოდა და







იგზავნებოდა „დედა ენა“, რომელიც, ენის სიყვარულთან ერთად, მშობლიური მიწის სურნელებით ასაზრდოებდა უცხოეთში მყოფ ქართველებს და ეხმარებოდა შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა და ქართული ადათ-წესები.

აღსანიშნავია მისი ზრუნვა, შეუნელებელი ყურადღება და სათუთი დამოკიდებულება აჭარისადმი. 1878 წელს, როცა აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა, ქართველი საზოგადო მოღვაწეების მხარდამხარ, იაკობმა დაიწყო ბრძოლა აჭარაში სახალხო სკოლების გახსნისა და დედაენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის. ის რამდენიმეჯერ თავად ეწვია ბათუმს, რომ ახლოს გაცნობოდა ილიას თაოსნობით გახსნილი პირველი ქართული სკოლის საქმიანობას და სათანადო დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

„ბუნების კარი“ მკითხველს აცნობს სამხრეთ საქართველოში ოსმალების შემოსევას და მესხთა (იაკობი აჭარას განიხილავს, როგორც მესხეთის ნაწილს) თავგანწირულ ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. *„მთელი აჭარა* – ამბობს იგი – *მხოლოდ ქართველებით არის დასახლებული. ბინადარი ცხოვრება იქ არა უცხო ტომს არა აქვს. მხოლოდ აქ იქ ვხედავთ სომეხსა და ბერძენ მედუქნეებს“*. იგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ *„მძიმე განსაცდელისა და ვარამის მიუხედავად აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ეროვნული თვითმყოფადობა, ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდე დარჩნენ ქართველებად...“*

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელს. პედაგოგი მას ერის დედაბოძად მიაჩნდა. *„თუ სკოლის საქმე მაღალ დონეზე დადგება, მომზადებული მასწავლებლები გვეყოლება,* – წერდა იაკობი – *პოტენციურად ჩვენი მომავალი თაობა ნიჭიერებით და უნარით გამოირჩევა და თავს გამოიჩენს“*. ამიტომაც მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქართული სკოლის მშენებლობისთვის. ამ საქმეს მოახმარა მან მთელი თავისი ცოდნა-განათლება, ძალა, ენერგია და რაინდული შემართება.

თუკი მე-19 საუკუნის საქართველომ, ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში, შეძლო ეროვნული თავისთავადობის, ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება – ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული სკოლის დამსახურებაა, რადგან იგი დედაენის ბალავარს ეყრდნობოდა.

აი, რისთვის და ვისთვის იყო საჭირო „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და საბავშვო მწერლობა, რომლის ფუძემდებელი თავად გახლდათ. მან საბავშვო ლიტერატურის ეროვნული სკოლა შექმნა, 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილი მიაწოდა მკითხველს, მოზარდსა და მოზრდილს.

თანამედროვე პირობებში, როცა სკოლაში ინერგება ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიები, ინოვაციები, სწავლება-სწავლის აქტიური და ინტერაქტიული მეთოდები, საჭირო და აუცილებელია, რომ ისინი ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით, შემოქმედებითად იქნეს გამოყენებული. ამიტომ სჭირდება დახმარება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

ვის მოვუხმოთ?

იაკობ გოგებაშვილი: *„ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისა. სწავლებას, რომ იგი პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს – ყოველ სიტყვაზე თან ახლდეს სრული გაგება. სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა. მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა შინაგან მხარეებს“.*

ქართველი განმანათლებელი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლების პროცესში ინტერესის, აზროვნების, აღქმის, მეხსიერების, წარმოსახვისა და სხვა ფსიქიკური თვისებების განვითარებას. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი შეგონება ინტერესის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. იაკობის აზრით, განწყობა, ინტერესი უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ გაააქტიურო ბავშვის შემეცნებითი ძალები. ინტერესის გამომწვევ საშუალებად იგი მიიჩნევს თვალსაჩინოების, რესურსების სხვადასხვა სახეს, მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას, პედაგოგის მიერ დასმულ პრობლემურ კითხვებს, პრობლემურ სიტუაციას, რაც აზრის აქტივობას, დაფიქსირებას, მსჯელობას, ადრე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ამოძრავებას მოითხოვს.

და ისევ აღმზრდელ-მასწავლებელთათვის მიმართული სიტყვები: დღევანდელ გაკვეთილზე აღქმული მასალა უნდა განმეორდეს მომდევნო გაკვეთილებზე „სხვადასხვა კომბინაციებში“. ამის გარეშე შეუძლებელია მოსწავლის მეხსიერებაში ათვისებული მასალის მტკიცედ დანერგვა. ეს გენიალური პედაგოგიური ფორმულა დღეს სრულიად ახალ შინაარსს და მნიშვნელობას იძენს, რადგან აღქმული მასალის „სხვადასხვა კომბინაციებში“ განმეორება უზრუნველყოფს არა მარტო შესწავლილის მტკიცედ დამახსოვრებას, არამედ შეძენილი ცოდნის სხვადასხვა პირობებში უნარიანად გამოყენებას. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ფართო გზა მივცეთ საბაზრო ურთიერთობებსა და სწრაფცვალებად სამყაროში საქმიანობისთვის აუცილებელ, კრიტიკულ აზროვნებას, დამოუკიდებლად მოაზროვნე, განსწავლული და ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებების აღზრდა-ფორმირებისადმი შემოქმედებით მიდგომას.

თავისი პედაგოგიური იდეებითა და შეხედულებებით, ბრძნული ნაფიქრ-ნააზრევით და შეგონებებით, იაკობ გოგებაშვილმა თანამედროვეობაში შემოაბიჯა. ის კვლავაც გვირჩევს, გვასწავლის, გვმოძღვრავს, განათლების დარგის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის.

**აკაკი ზოიძე**

*საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

CMYK